„გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე (საქართველო)
მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი
რეაქტიული მონიტორინგის მისიის
ანგარიში
2024 წლის 23-27 სექტემბერი

შინაარსი

მადლიერების გამოხატვა. 2

მოკლე შეჯამება და სარეკომენდაციო ნუსხა.....3

I. ძეგლი 7

II. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისა და მართვის ეროვნული სისტემის შეჯამება 9

III. მისია..... 10

IV. ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება. 11

A. განხორციელებული საკონსერვაციო ღონისძიებები 11

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (მთავარი ტაძარი) 11

2. წმ. გიორგის სახელობის ტაძარი. 26

3. გელათის სამონასტრო კომპლექსი.....27

B. მართვის სისტემა, მათ შორის მართვის გეგმის განახლება 29

1. პასუხისმგებლობები 29

2. მართვის გეგმა. 30

3. განახლებული მასტერპლანის პროექტი. 33

C. ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის საკითხებზე. 35

D. ჰოლისტიკური საკონსერვაციო პროგრამის განვითარება. 36

V. დასკვნები და რეკომენდაციები. 44

VI. დანართები. 48

დანართი I: მისიის ტექნიკური დავალება 48

დანართი II: მსოლფიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილება 50

დანართი III: მისიის გუნდის შემადგენლობა 52

დანართი IV: მისიის პროგრამა და დღის წესრიგი 53

დანართი V: შეხვედრებში მონაწილეების სია 55

დანართი VI: ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულების განაცხადი 57

დანართი VII: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციები 60

დანართი VIII: სახელმწიფო მხარის მიერ მისიისთვის მიწოდებული დოკუმენტაცია ..63

მადლიერების გამოხატვა

მისიის ჯგუფი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს მისი სტუმართმოყვარეობისა და მისიის წარმატებული განხორციელებისთვის შექმნილი შესანიშნავი პირობებისთვის. მისიის პროგრამამ, რომელიც მოიცავდა შეხვედრებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ძეგლზე ვიზიტებსა და დისკუსიებს, მისიის ჯგუფს მისცა საშუალება "პირველი ხელიდან" შეეგროვებინა ინფორმაცია გელათის მონასტრის აღდგენითი სამუშაოების პროგრესზე და შეეფასებინა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის "გელათის მონასტრის" ყოვლისმომცველი საკონსერვაციო მდგომარეობა და მისი მართვა.

მისიის ჯგუფი განსაკუთრებით მადლობას უხდის არქიმანდრიტ კირიონს (ონიანი), გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, ასევე მის კოლეგებს მიხეილ გაფრინდაშვილსა და მანანა ვარძელაშვილს, მათი ძალისხმევისთვის მისიის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. მათი და ეროვნული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის, დავით ლორთქიფანიძის მთლიანი მისიის მანძილზე თანხლება, ძალიან დასაფასებელია.

მისიის ჯგუფი პრივილეგირებული იყო შეხვედროდა საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეს, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარეს, მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი), ასევე, საქართველოს საპატრიარქოს სხვა წარმომადგენლებს. შეხვედრები, რომელიც გაიმართა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს / საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებსა და ჩართულ ექსპერტებთან, დაეხმარა მისიის ჯგუფს ყოვლისმომცველი ინფორმაცია მიეღო განსახილველ საკითხებზე. მადლობას ვუხდით ყველა დაინტერესებულ მხარეს შეტანილი წვლილისა და მისიის მაქსიმალურად ინფორმატიული და შედეგიანი ჩატარებისათვის.

მოკლე შეჯამება და სარეკომენდაციო ნუსხა

2024 წლის 23-27 სექტემბერს, საქართველოში, „გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, განხორციელდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის/ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისია. მისია განხორციელდა მასპინძელი მხარის მოწვევით, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის #45 COM 7B.54 გადაწყვეტილების (რიადი, 2023) შესაბამისად. მისი მიზანი იყო 2022 წლის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის შემდეგ გატარებული საკონსერვაციო ღონისძიებების, ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების, მართვის სისტემის ეფექტურობისა და ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება.

გელათის მონასტერი, რომელიც 1994 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შევიდა, საქართველოს ოქროს ხანის არქიტექტურული შედევრია. მონასტრის კომპლექსში წარმოდგენილია ღვთისმშობლის შობის ტაძარი (მთავარი ტაძარი), წმინდა გიორგის ეკლესია და სხვა სამონასტრო ნაგებობები, რომლებიც გამორჩეულია თავიანთი არქიტექტურული და მხატვრული ღირებულებებით, მათ შორისაა კარგად შემონახული მოზაიკა და კედლის მხატვრობა. თუმცა, 2015-2018 წლებში, მთავარ ტაძარზე უხარისხოდ მოწყობილმა სახურავებმა გამოიწვია ტენის ინფილტრაცია და ისტორიული კედლის მხატვრობის დაზიანება. 2022 წლის ნოემბერ-დეკემბერში განხორციელებული მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისია რეკომენდაციას უწევდა კედლის მხატვრობაზე მხოლოდ გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას, მინიმალური ჩარევითა და ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით.

ამჟამინდელმა მისიამ განახორციელა მონასტრის ახლანდელი მდგომარეობის ყოვლისმომცველი განხილვა, ძეგლის ინსპექტირება, გამართა სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრები, მათ შორის, საქართველოს საპატრიარქოსთან, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან და კონსერვაციის პროცესში ჩართულ ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან. მისიის ფარგლებში ასევე, განხილულ იქნა განახლებული მართვის გეგმა, 2022 წლის მისიის რეკომენდაციების შესრულება და კონსერვაციის ყოვლისმომცველი პროგრამის შემუშავების საკითხები.

მისიის დასკვნები და რეკომენდაციები მიზნად ისახავს სახელმწიფო მხარის მხარდაჭერას გელათის მონასტრის კონსერვაციისა და მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისთვის 2025 წელს (სოფია) მონასტრის საკონსერვაციო მდგომარეობის განსახილველად, შესაბამისი მითითებების მიწოდებას.

მისიის ძირითადი დასკვნები:

- კომპლექსური კონსერვაციის პროგრამის შემუშავება, გეგმითა და საგზაო რუკით, უაღრესად მნიშვნელოვანია ძეგლზე სარეაბილიტაციო და საკონსერვაციო სამუშაოების გასაგრძელებლად.
- შემაშფოთებელია გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტსა და კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის შეზღუდული თანამშრომლობა; უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ძეგლის გრძელვადიანი დაცვა და მართვა, მისი ბუფერული ზონის ჩათვლით.
- მართვის განახლებული გეგმა მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს, თუმცა საჭიროებს სრულყოფას, განსაკუთრებით, ბუფერული ზონის საკითხებზე.

- მთავარ ტაძარზე ერთიანი დამცავი საფარის მოწყობა, გუმბათის ჩათვლით, რომელიც უნდა დასრულდეს 2024 წლის ბოლოსთვის, არის სარეაბილიტაციო პროგრამის საკვანძო ნაბიჯი: ეს საშუალებას მისცემს შემდგომ მოიხსნას პრობლემური მოჭიქული კრამიტისა და სახურავქვეშა შევსებული ფენები, <u>რათა მოხდეს ტენის თანდათანობითი აორთქლების პროცესი ექსტერიერისკენ</u> - ახალი სახურავის მოწყობამდე. მუდმივი გადახურვის ფრთხილი პროექტირება შემდგომი სარეაბილიტაციო სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება.
- მთავარ ტაძარში კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისა და არაინვაზიური კვლევების სფეროში მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეული. ეს კვლევები წარმოადგენს საფუძველს გამოსასწორებელი ღონისძიების პროექტის შემუშავებისა და ეტაპობრივი განხორციელებისთვის. თუმცა, მისია შეშფოთებულია იმით, რომ ჩარევები ჯერ კიდევ არ მოიცავს კედლის მხატვრობის იმ მონაკვეთებს, რომელზეც ჩატარებული იყო წინა ინტერვენცია და 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ იყო შეფასებული. გადაუდებელი ჩარევები უნდა განხორციელდეს ყველა იმ არეალში, სადაც მხატვრობის ფენების ცვენა და/ან მოსამზადებელი ფენების დაშლა და განშრევება - მნიშვნელოვანი შემკულობის ელემენტების დაკარგვის საშიშროებას ბადებს.
- მთავარი ტაძრის აფსიდში მე-12 საუკუნის მოზაიკის ყოვლისმომცველი გადარჩენის პროგრამის დაწყება დასაფასებელია და ის უნდა გახდეს საფუძველი მოზაიკის დეტალური კონსერვაციის გეგმისთვის, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე კარგად არის შემონახული, საფრთხეშია, რადგან მისი ზედაპირის უმეტესი ნაწილი კედელს არის მოშორებული.
- საჭიროა მთავარი ტაძრის სტრუქტურული კვლევების გაგრძელება, რათა შემდგომში მომზადდეს ინტერვენციის პროექტი ძეგლის სტატიკური მდგრადობის აღსადგენად, განსაკუთრებული აქცენტით მისი სტრუქტურის ზედა ნაწილებზე.

რეკომენდაციები:

მისია რეკომენდაციას უწევს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა განიხილოს და დადებითად შეაფასოს, 2022 წლის საკონსულტაციო მისიის შემდეგ სახელმწიფო მხარის მიერ გადადგმული ნაბიჯები, ძეგლზე არსებული საკონსერვაციო გამოწვევების გადასაჭრელად, ისევე, როგორც მართვის გეგმის განახლების მიმართულებით, რომელიც მოიცავს ინდიკატორებს იმ ატრიბუტების საკონსერვციო მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც ძეგლის გამორჩეულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას გამოხატავენ .

ძეგლის მონიტორინგის, დაცვის, კონსერვაციისა და მართვის გასაუმჯობესებლად, მისია მონაწილე სახელმწიფოს რეკომენდაციას უწევს გაამლიეროს რეაბილიტაციისა და კონსერვაციის პროგრამა და ძეგლის საკოსნერვაციო მდგომარეობა და მართვა, ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული რეკომენდაციების საფუძველზე.

საკონსერვაციო პროგრამა:

1. პრიორიტეტულად შემუშავდეს და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად წარდგენილ იქნას ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროგრამა, რომელიც მოიცავს გეგმასა და საგზაო რუკას. აღნიშნული პროგრამა ასევე, უნდა მოცავდეს მდგომარეობის შეფასებას, პასუხისმგებლობებისა და განსახორციელებელი პროცესების მკაფიო განსაზღვრას, მოქმედებების პრიორიტეტებს, ჩარევების თანმიმდევრულ ფაზებს, გამოყენებულ მეთოდოლოგიასა და შერჩეულ მასალებს.

2. ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროგრამის ფარგლებში შემუშავდეს მუდმივი გადახურვის მოწყობის პროექტი და დეტალები, წყლის გადაყვანის სისტემის ჩათვლით. აღნიშნული პროექტები, მათი ხელმისაწვდომობისთანავე, წარდგენილი უნდა იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.
3. საკონსერვაციო პროცესში უფრო მეტი ქართველი კონსერვატორი ჩაერთოს და საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმოს მათი კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქმედებების გრძელვადიანი მდგრადობა.
4. დასრულდეს მთავარი ტაძრის, მათ შორის გუმბათის, ერთიან დამცავ გადახურვაზე მუშაობის პროექტი.
5. დასრულდეს გარე სასიარულო ხარაჩოების მოწყობა, რათა უზრუნველყოფილ იქნას სრული წვდომა სახურავებსა და ფასადებზე.
6. კედლის მხატვრობა: (i) ჩატარდეს გადაუდებელი ჩარევები მოხატულობის ფერწერულ და მოსამზადებელ ფენებზე, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაშია და რამდენიმე ადგილას ცვენისა და დაშლის საფრთხის ქვეშ იმყოფება. (ii) პარალელურად, დადგინდეს ფასადების ქვის საპირე წყობისა და შიდა მხატვრობის დაზიანებებს შორის კავშირი. (iii) მისიის მიგნებების თანმდევად, კვლევების შედეგად მიღებული ყველა შედეგი შეიკრიბოს და გაანალიზდეს, რათა ეს დასკვნები ინტეგრირდეს საკონსერვაციო პროგრამაში. რომელიც თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს ქმედებების ქრონოლოგიურ სიას. აღნიშნული დოკუმენტი წარდგენილ უნდა იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად როგორც ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროგრამის ნაწილი.
7. მოზაიკა: შეფასების ეტაპის დასრულების შემდეგ, შემუშავდეს მოზაიკის დაცვის დეტალური გეგმა, რომელიც იქნება კონსერვაციის სრულყოფილი პროგრამის ნაწილი და წარედგინება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.
8. სტრუქტურული კვლევები: კრიტიკულ წერტილებში დამატებით დამონტაჟდეს ავტომატური სტატიკური მონიტორინგის სისტემის ერთეულები, რათა დასრულდეს გრძელვადიანი მონიტორინგის შედეგების საფუძვლიანი ანგარიშის მომზადება. ამის შემდეგ მომზადდეს ინტერვენციის პროექტი ძეგლის სტატიკური მდგრადობის აღსადგენად, განსაკუთრებული ყურადღებით სტრუქტურის ზედა ნაწილებზე.
9. მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, განხორციელდეს ქვის კონსერვაციის პროგრამა.
10. დასრულდეს წვიმის წყლის შეგროვებისა და გადაყვანის სისტემის შეფასება და მომზადდეს წინადადებები მისი გაუმჯობესების მიზნით, რომლებიც გახდება მუდმივი გადახურვის მოწყობის პროექტის შემადგენელი ნაწილი და უზრუნველყოფს ძეგლის გამორჩეული ზოგადასაკაცობრიო ღირებულების (OUV) მახასიათებლების დაცვას.
11. შემუშავდეს წმინდა გიორგის ეკლესიის ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროექტი და წარდგენილ იქნას მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.

დაცვა და მართვა

12. საჭიროა მუშაობა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა (და მის დაქვემდევარებაში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს) და საქართველოს საპატრიარქოს (და მის დაქვემდებარებაში მოქმედ გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს) შორის მჭიდრო კოორდინაციისა და თანამშრომლობის აღდგენაზე.

13. მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, დასრულდეს ძეგლის მართვის გეგმა, ,განსაკუთრებით ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორიცაა ზემოქმედების ფაქტორები, ვიზიტორთა მართვა, დაცვა და ბუფერული ზონის მართვა.
14. გადაიხედოს ძეგლის გენერალური გეგმა შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:
    - ანსამბლის დაგეგმარების სტრუქტურისა და სივრცითი ხარისხის შენარჩუნება;
    - ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულებების (OUV) გამომხატველი ატრიბუტების შენარჩუნება და წარმოჩენა;
    - ბერების განსახლება და ლიტურგიული საჭიროებები;
    - მორწმუნეთათვის მონასტერში რელიგიურ მსახურებებზე ხელმისაწვდომობა და ვიზიტორთა რაოდენობის პოტენციური ზრდა, სპეციალური საჭიროების მქონდე პირთათვის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
    - ძეგლის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ნაშთები, რომელიც უნდა გახდეს ყოვლისმომცველი კვლევის საგანი მათი კონსერვაციის მიზნით, უნდა იყოს ასახული გენერალურ გეგმაში.

    განახლებული გენერალური გეგმა წარედგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.

15. მისია, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტს, ასევე, ურჩევს მოსთხოვოს სახელმწიფო მხარეს, 2026 წელს, ძეგლზე რეაქტიული მონიტორინგის მისიის მოწვევა, რათა შეფასდეს განხორციელებული საკონსერვაციო ძალისხმევის შესაბამისობა, ყოვლისმომცველი საკონსერვაციო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროგრესი, მართვის გეგმის განხორციელება, მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები და ძეგლის ყოვლისმომცველი საკონსერვაციო მდგომარეობა.

I. ძეგლი

„გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს შეიტანეს (iv) კრიტერიუმით, როგორც ნაგებობის, არქიტექტურული ანსამბლის ან ლანდშაფტის განსაკუთრებული ნიმუში, რომელიც ასახავს კაცობრიობის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპ(ებ)ს. გელათის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს „ოქროს ხანის“ ხუროთმოძღვრების შედევრია და ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. რომელსაც გამოარჩევს გლუვად გათლილი დიდი ქვის კვადრების სუფთა წყობა, ნაგებობათა იდეალური პროპორციები და მონუმენტური თაღოვანი დეკორის სისტემა. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, რომელმაც VII საუკუნიდან გადამწყვეტი როლი ითამაშა ქრისტიანული აღმოსავლეთის საეკლესიო არქიტექტურაში. გელათი ერთ-ერთი უდიდესი შუა საუკუნეების მართლმადიდებლური მონასტერია, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიული დამოკიდებულებითა და საერთო დაგეგმარების კარგად გააზრებული კონცეფციით.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი შუა საუკუნეების ერთადერთი ძეგლია აღმოსავლეთ მცირე აზიისა და კავკასიის დიდ ისტორიულ რეგიონში, რომელმაც მოზაიკური დეკორი შემოგვინახა. აგრეთვე, მან შემოგვინახა შუა, გვიანი და პოსტ-ბიზანტიური პერიოდის მხატვრობის ნიმუშები, მათ შორის მეფეების, დედოფლებისა და მაღალი სასულიერო პირების 40-ზე მეტი პორტრეტი და შვიდი მსოფლი საეკლესიო კრების ყველაზე ადრეული გამოსახულება.

გელათის მონასტერი ჰომოგენური, კომპლექსური ძეგლია, რომლის შენობათა უმრავლესობა მე-12 საუკუნისაა. კომპლექსი აგრეთვე მოიცავს მე-13 საუკუნეში დამატებულ შენობებსაც. ყველა ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულების გამოსახატად, წარმოდგენილია ტერიტორიაზე და მის ნაწილს შეადგენს. მე-12 და მე-13 საუკუნეების მონასტრის არცერთი მნიშვნელოვანი ორიგინალი მახასიათებელი არ დაკარგულა საუკუნეების განმავლობაში და მისი ლანდშაფტი ძირითადად ხელუხლებელი რჩება. ყველა შენობა დამაკმაყოფილელებელ საკონსერვაციო მდგომარეობაშია.

ძეგლს განსაზღვრული აქვს საკმაოდ დიდი ბუფერული ზონა, რომელიც მოიცავს 1,246 ჰექტარს. განვითარების გარკვეული ზეწოლა არსებობს როგორც ბუფერულ ზონაში, ასევე, მის უფრო ფართო არეალში, მაგრამ საფრთხეების დონე დაბალია და პროცესები ამჟამად კონტროლს ექვემდებარება.

1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანისას, ძეგლი მოიცავდა ქუთაისის ბაგრატის ტაძარსაც, სახელწოდებით „ბაგრატის ტაძარი და გელათის მონასტერი“. ბაგრატის საკათედრო ტაძარზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ, რამაც საფრთხე შეუქმნა [სერიული] ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეულ ღირებულებას, მთლიანობასა და ავთენტურობას, ძეგლი 2010 წელს შეიტანეს საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში (გადაწყვეტილება 34 COM 7B.88).

2017 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა დაამტკიცა ძეგლის საზღვრების მნიშვნელოვანი ცვლილება - ბაგრატის საკათედრო ტაძრის ნუსხიდან გამორიცხვის მიზნით (გადაწყვეტილება 41 COM 8B.31) და მიიღო გადაწყვეტილება, რომ „გელათის მონასტერი“ ამოეღო საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან (გადაწყვეტილება 41 COM7A. 20). იმავე წელს, კომიტეტმა დაამტკიცა ძეგლის

ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულების განაცხადი, რომელიც მოცემულია VI დანართში.

უკანასკნელი რეაქტიული მონიტორინგის მისია იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის ერთობლივი მისია, რომელიც განხორციელდა 2012 წლის აპრილში. ბოლო საკონსულტაციო მისია, რომელიც ეწვია ძეგლს, იყო მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისია, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 28 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე. აღნიშნული მისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების სრული ნუსხა წარმოდგენილია VIII დანართში.

ძეგლის რეაქტიული მონიტორინგის მიმდინარე ციკლი დაიწყო 2021 წელს. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილება N45 COM 7B.54 მიღებულია 2023 წელს (რიანში), რომელიც წარმოდგენილია II დანართში.

II. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის დაცვისა და მართვის ეროვნული მართვის სისტემის შეჯამება

გელათის სამონასტრო კომპლექსი საბჭოთა პერიოდიდან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მატარებელია და 2006 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეტანილ იქნა საქართველოს ძეგლთა ეროვნულ რეესტრში. 2014 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულებით, დაცული არეალი გაფართოვდა გელათის მონასტრის გაზრდილი ბუფერული ზონის მოსაცველად. ბუფერული ზონა დაცულია როგორც ძეგლების, ასევე, ვიზუალური ატრიბუტების გათვალისწინებით.

მიმდებარე ლანდშაფტის ბუნებრივი ფასეულობები რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით, ნიადაგის დაცვის, გარემოს დაცვის და წყლის კანონებით, რომლებიც ტერიტორიის ტყეებისა და მდინარეების მართვის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენენ. ბუფერულ ზონაში ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის, მათ შორის, ინფრასტრუქტურული და მიწის სამუშაოების ჩატარების განაცხადები საჭიროებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან მოქმედ მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოსთან შეთანხმებას.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის, გაფორმებულ იქნა მემორანდუმი კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მოიცავს ეკლესიის საკუთრებაში არსებულ ყველა მემკვიდრეობის ძეგლს. 2023 წლამდე, ძეგლის ყოველდღიურ მართვას ახორციელებდა მონასტერი, ხოლო გრძელვადიანი ჩარევები ხორციელდებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ.

2023 წელს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის – გელათის მონასტრის კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროცესის მართვა გადაიბარა საპატრიარქოს მიერ შექმნილმა "გელათის რეაბილიტაციის დროებითმა კომიტეტმა", რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი, შიო (მუჯირი).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ინარჩუნებს ნებართვების გაცემის, ძეგლის მონიტორინგისა და კონსერვაციის პროცესების ზედამხედველობის ფუნქციებს. მისი ადგილობრივი სტრუქტურული ერთეული - ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, ასევე, პასუხისმგებელია ვიზიტორების მიღებაზე.

2024 წელს, დასრულებული და მისიისთვის წარდგენილი მართვის გეგმის პროექტი, წარმოადგენს 2015 წელს შემუშავებული და 2017 წელს რედაქტირებული მართვის გეგმის განახლებულ ვერსიას. გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის ინიციატივით, ის მომზადდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 45 COM 7B.54 გადაწყვეტილების შესაბამისად და მასზე მუშაობდა მრავალდარგობრივი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობდნენ შესაბამისი ეროვნული სააგენტოები, რეგიონალური ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობები და გელათის მონასტრის თემის წარმომადგენლები.

III. მისია

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა თავის გადაწყვეტილებაში 45 COM 7B.54 (რიადი, 2023) სახელმწიფო მხარეს მოუწოდა, მოეწვია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის/ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისია „გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, რათა შეეფასებინა კონსერვაციის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები, ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამის განვითარება და განხორციელება, მათ შორის, კონსერვაციის გენერალური გეგმა და საგზაო რუკა, მართვის გეგმის განახლება, მართვის სისტემის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები და ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობა. სახელმწიფო მხარემ, კერძოდ კი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებამ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, მისია ოფიციალურად მოიწვია 2023 წლის 28 ნოემბრის წერილით.

მისიის ტექნიკური დავალების დოკუმენტში (დანართი I) ყურადღება გამახვილებულია 2022 წლის დეკემბერში მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის შემდეგ განხორციელებული საკონსერვაციო ზომების შეფასებაზე, მართვის სისტემის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯებისა და მისი ეფექტიანობის განხილვაზე, მათ შორის, მართვის გეგმის განახლებაზე, ასევე, ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასებასა და იმ ფაქტორებისა და საკონსერვაციო საკითხების ანალიზზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის ზოგადსაკაცობრიო განსაკუთრებულ ღირებულებაზე (OUV).

მისიის ჯგუფი შედგებოდა შემდეგი წევრებისგან: ალკივიადეს პრეპისი (ICOMOS), მონიკა მარტელი კასტალდი (ICCROM) და ირენა კაკეტი (UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი). მისია ჩატარდა ხუთი სრული დღის განმავლობაში, 2024 წლის 23-27 სექტემბერს (პროგრამა მოცემულია დანართში IV) და მოიცავდა ძირითად საკითხებზე პრეზენტაციებს, ასევე, ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის სხვადასხვა ლოკაციებზე ვიზიტებს. მისიას ჰქონდა შეხვედრები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, ექსპერტებთან, რომლებიც ამჟამინდელ საკონსერვაციო სამუშაოებზე არიან პასუხისმგებელნი, მათ შორის, პროგრამაში ჩართულ უცხოელ ექსპერტებთან ონლაინ ფორმატში.

მისიის პროგრამა, ასევე, მოიცავდა შეხვედრებს თბილისში: საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან, ასევე, შეხვედრას ქუთაისში - იმერეთის რეგიონისა და თერჯოლის, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან (შეხვედრებში მონაწილეთა სრული სია მოცემულია დანართში V).

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-/ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისიის ანგარიში წარდგენილი იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 47-ე სესიაზე (სოფია, 2025), სადაც, ასევე, განხილულ იქნება სახელმწიფო მხარის მიერ 2024 წლის 1 დეკემბრამდე გასაგზავნი საკონსერვაციო მდგომარეობის განახლებული ანგარიში. რეაქტიული მონიტორინგის ანგარიშის მიგნებები, კომიტეტის მიერ, გათვალისწინებული იქნება ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის შესაფასებლად.

IV. ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის შეფასება

A. განხორციელებული საკონსერვაციო ღონისძიებები

რეაქტიული მონიტორინგის მისიის გუნდისთვის მეტად დასაფასებელი იყო გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის მიერ (შემდგომში – დროებითი კომიტეტი) იმის აღნიშვნა, რომ ის თავის ყველა ქმედებაში 2022 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებით და ICOMOS-ის შესაბამისი ტექნიკური დასკვნებით ხელმძღვანელობს. ეს ადგილზე ვიზიტის დროსაც დადასტურდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა, თავის 45-ე სესიაზე (რიადი, 2023 წ.) მიიღო გადაწყვეტილება 45 COM 7B.54, რითაც მხარი დაუჭირა 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებს და სახელმწიფო მხარეს დაავალა მათი გათვალისწინება მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაწყვეტად; ასევე, მოითხოვა, გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი დაცვის სტრატეგიების და ღონისძიებების განხორციელებამდე, დოკუმენტების მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში წარდგენა - მრჩეველი ორგანოების მხრიდან შესაბამისი შეფასების მისაღებად.

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი (მთავარი ტაძარი)

1a. ერთიანი დროებითი გადახურვა და ინტერიერის ხარაჩო

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის გადაწყვეტილებისა (44 COM 7B.47, პუნქტი 4) და 2022 წლის საკონსულტაციო მისიის ანგარიშში წარმოდგენილი (მე-4 და მე-6 რეკომენდაცია) რეკომენდაციების შესაბამისად, დროებითმა კომიტეტმა, 2023 წლის ნოემბერში მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარუდგინა მთავარი ტაძრის დროებითი გადახურვის მოწყობის კომპლექსური საპროექტო წინადადება, რომელიც შემუშავდა ქართველი და გერმანელი სპეციალისტების თანამშრომლობით და მოიცავდა დროებითი გადახურვის ორ არქიტექტურულ გადაწყვეტას.

- პირველი ვარიანტი, სრულად ფარავდა ტაძრის მთლიან სტრუქტურას, თუმცა, გუმბათის გარეშე, რათა გუმბათის დროებითი გადახურვის სტაბილურობისთვის საჭირო მზიდ კონსტრუქციებს არ შეეზღუდა ლიტურგიული მსახურება.
- მეორე ვარიანტი, სრულად მოცავდა ტაძრის სტრუქტურას, გუმბათის ჩათვლით.

ICOMOS-ის მიერ 2024 წლის თებერვალში გამოგზავნილი ტექნიკური შეფასებით, მეორე ვარიანტი იქნა რეკომენდებული. შესაბამისად, დროებითმა კომიტეტმა ამ ვარიანტზე გააგრძელა მუშაობა.

გარდა ამისა, როგორც 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ იქნა რეკომენდებული, ეკლესიის ყველა მონაკვეთში მოწყობილია უსაფრთხო ხარაჩო, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს და მონიტორინგი განხორციელდეს ტაძრის განსაკუთრებით ზედა ნაწილებში არსებული კედლის მხატვრობისა და აფსიდში განლაგებული მოზაიკის მდგომარეობა.

მთელი კონსტრუქცია შედგება ორი ძირითადი კომპონენტისგან, რომელთაგანაც, ერთი - გერმანიაშია დამზადებული და მეორე – საქართველოში. პირველი კომპონენტი უზრუნველყოფს ტაძრის გარედან დაფარვას და ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხრიდან, სამუშოების განსახორციელებლად სახურავებზე უსაფრთხო წვდომობას. შემუშავებულ იქნა საყრდენი ბოძების ისეთი გადაწყეტა, რომელსაც არ ესაჭიროება დიდი ზომისა და სიგრძის საყრდენი ღერძებისა და ღრმა საძირკვლების მოწყობა, რათა საფრთხე არ შექმნილიყო არქეოლოგიური ფენებისთვის. ამის ნაცვლად, შემუშავებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ალუმინის მრავალი ღერძის ერთობლიობას, რომელიც ეფუძნება წინასწარ მიწაზე პირდაპირ დადებულ, ჩამოსხმულ არმირებულ ბეტონის ფილებს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ქარის დაწნევა, კონსტრუქციის ქვედა ნაწილებს ბეტონის დამატებითი სიმძიმეები დაემატა. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის მისია აღნიშნავდა: „დროებითი დამცავი სახურავის საკმარისმა დახრამ, წყალგადამყვანი მილების მონტაჟმა და წვიმის წყლის სადრენაჟო სისტემის ხელახალმა გამოყენებამ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საძირკვლებიდან და ფასადებიდან წყლის შეღწევის თავიდან ასაცილებლად" (გვ. 22), უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კონსტრუქციის უფრო დიდი, ერთიანი დამცავი გადახურვა მნიშვნელოვანწილად შეამცირებს დროებითი სახურავის წყალგადამყვანი მილებისა და წვიმის წყლის არსებული დრენაჟის სისტემის გამოყენებას.

Fig.1. ერთიანი დროებითი გადახურვის ხედი აღმოსავლეთის მხრიდან

საქართველოში დამზადებული ინტერიერის მზიდი კონსტრუქცია უზრუნველყოფს სტატიკურ მხარდაჭერას და ასევე, რესტავრატორებისთვის შიდა კედლებთან ხელმისაწვდომობას. ტაძრის ინტერიერში განთავსებული ხარაჩო კომფორტული და უსაფრთხოა და სრულად უზრუნველყოფს წვდომას ტაძრის ყველა ზედა ნაწილსა და აფსიდთან – კედლის მხატვრობასა და მოზაიკაზე. აფსიდის მოზაიკის მიმართულებით განლაგებული ხარაჩო მოდიფიცირებულია და მოწყობილია მოზაიკის კონსერვაციისა და რესტავრაციის გუნდის ხელმძღვანელის კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად, მოზაიკის კონსერვაციის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი საკონსერვაციო პროექტის ფართომასშტაბიანი სამუშაოების განსახორციელებლად.

რკინის კონსტრუქცია, რომელიც გუმბათის სარკმლებიდან გარეთ გამჭოლად გაივლის, გამოყენებული იქნება გარე ლითონის რკალის საყრდენად, რომელსაც, თავის მხრივ, გუმბათის დროებითი გადახურვის კონსტრუქცია დაეყრდნობა. ამ გადაწყვეტით, გუმბათის გადახურვის კონსტრუქცია დაეყრდნობა მხოლოდ ტაძრის ინტერიერში მოწყობილ მზიდ ხარაჩოებს და თავიდან აიცილებს დამატებით ზეწოლას ტაძრის სტრუქტურაზე. მეხამრიდის სისტემა, რომელიც გუმბათის თავზეა მოწყობილი, კვლავ აქტიური რჩება.



Fig. 2. მთავარი ტაძრის დროებითი გადახურვის კონსტრუქციული ნახაზი

<u>დასკვნა და რეკომენდაცია</u>

რეაქტიული მონიტორინგის მისია მიიჩნევს, რომ გარე დროებითი საფარის სტრუქტურა, რომლის მოწყობაც 2024 წლის ბოლოს უნდა დასრულდეს, კარგად არის დაპროექტებული და შესრულებული, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენს 2025 წლიდან ტაძარში განსახორციელებელი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის. დროებითი გადახურვის მოწყობის დასრულება, შესაძლებელს გახდის მოიხსნას უხარისხო სახურავი და ამოღებულ იქნას მის ქვეშ არსებული ფენები, რათა, ახალი სახურავის მოწყობამდე, უზრუნველყოფილი იყოს ტენიანობის პროგრესირებადი აორთქლების პროცესის გარეთ მიმართვა.

მისია რეკომენდაციას უწევს ერთიანი დროებითი საფარის მოწყობის რაც შეიძლება სწრაფად დასრულებას, ისევე როგორც გარე ხარაჩოების დროულად მონტაჟს, რათა შესაძლებელი გახდეს 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ რეკომენდებული ქმედებების განხორციელება, როგორიცაა უხარისხო კრამიტის სახურავის მოხსნა, რათა მოხდეს კამარების ზურგის გამოშრობა. ეს ღონისძიებები საკონსერვაციო გუნდს ყველა გარე კედლის ზედაპირის საფუძვლიანი შემოწმების საშუალებასაც მისცემს.

დროებითი გადახურვის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო მხარემ ყურადღება უნდა მიაქციოს მუდმივი გადახურვის საპროექტო წინადადებების შემუშავებასა და დეტალებს, რომელიც უნდა მოიცავდეს წყლის ეფექტური გადაყვანის სისტემას; შემუშავებული

საპროექტო წინადადებები უნდა გაეგზავნოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მხრიდან შესაფასებლად.

1b. კედლის მხატვრობა

გელათის მონასტერში კედლის მხატვრობის გადარჩენის სამუშაოები რესტავრატორებს დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს. ეს გამოწვეულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორიცაა ზედაპირების მდგომარეობა, წინა ჩარევები, ექსტერიერის ზედაპირების დეგრადაციის პრობლემები, წყლის გადაყვანის სისტემა და აღსადგენი ზედაპირების უზარმაზარი მოცულობა. მთავარი ტაძრის მოხატულობა, რომელიც სხვადასხვა ისტორიული პერიოდისაა, შთამბეჭდავ ციკლს წარმოადგენს. ამჟამად, ტაძარში არსებული მასშტაბური ხარაჩოების გამო, ქვედა დონიდან მოხატულობის დანახვა თითქმის შეუძლებელია, თუმცა მიმდინარეობს ყველა ზედაპირის დეტალური დოკუმენტირება. ეს არის სამუშაო პროცესი, რომელიც მოითხოვს მკაფიო ორგანიზებასა და ხელით შესასრულებელ ინტენსიურ სამუშაოებს, რათა მხატვრობის მთელი მოცულობა სათანადოდ იქნას შენარჩუნებული. შემოწმების დროს არ იყო განსაზღვრული სამუშაო პროცესის ორგანიზაციის სტრატეგია, როგორც გადაუდებელ, ასევე, გრძელვადიან სარესტავრაციო სამუშაოებთან მიმართებაში.

კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელება დაევალა ქართულ გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესტავრატორები ლელა ნინოშვილი და მარიამ საღარაძე. ისინი მუშაობენ კურტოს ინსტიტუტის ორი ბრიტანელი სპეციალისტის - სტივენ რიკერბისა და ლიზა შეკედეს სამეცნიერო ხელმძღვანელობის ქვეშ. მისიის გუნდს შესაძლებლობა ჰქონდა ადგილზე პირადად ემუშავა ლელა ნინოშვილთან, ხოლო მარიამ საღარაძესთან – ონლაინ შეხვედრის ფორმატში. თუმცა, მისიის მიერ დასმული ზოგიერთი შეკითხვა უპასუხოდ დარჩა. სტივენ რიკერბი და ლიზა შეკედე არ იყვნენ ხელმისაწვდომი დისტანციური შეხვედრისთვისაც კი. მისიის ჯგუფს მხოლოდ სტივენ რიკერბის წინასწარ ჩაწერილი ვიდეომიმართვა წარედგინა, რომელიც მოიცავდა ზოგად ინფორმაციას სამუშაოებისა და მხატვრობის მდგომარეობის შესახებ, სადაც, კონკრეტულ კრიტერიუმებსა და სამომავლო კონსერვაციის გეგმების ზოგად მიდგომას მცირე ადგილი დაეთმო.

მისიისთვის ხელმისაწვდომი ანგარიშებიდან აშკარაა, რომ დღემდე გუნდის ყურადღება ძირითადად კვლევაზე იყო კონცენტრირებული, რაც მოიცავდა გარემო პირობების კონტროლს, კონსოლიდაციის შესაბამისი მეთოდებისა და მასალების შესწავლას და სხვა ანალიტიკურ სამუშაოებს. აღნიშნული მიდგომები ნაწილობრივ შეესაბამება 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებს, განსაკუთრებით, მონიტორინგისა და დოკუმენტაციის კუთხით. თუმცა, არ მიექცა სათანადო ყურადღება მისიის პირველ რეკომენდაციას, რომელიც გადაუდებელი სტაბილიზაციის სამუშაოების დაუყოვნებლივი განხორციელების საჭიროებას ეხებოდა.



Fig. 3, 4. მხატვრობის აქერცლილი, განშრევებული, გაფხვიერებული ფენა

არსებობს კედლის მხატვრობის მრავალი მეტად მოწყვლადი უბანი, რომელიც დაუყოვნებელი ჩარევის გარეშე შესაძლოა სრულად დაიკარგოს. მისიის ჯგუფმა მიიღო ინფორმაცია, რომ იმ ადგილებში, რომელიც წინა რესტავრატორთა ჯგუფის მიერ იყო დამუშავებული, ჩარევა არ იგეგმება. ამ გადაწყვეტილების მიღების მიზეზი ნათლად არ იყო განმარტებული მისიის ჯგუფისთვის. აღნიშნული საკითხი კვლავ გაურკვეველი დარჩა, მათ შორის, მოწოდებული ანგარიშების განხილვის შემდეგაც.

თუმცა, არის გადაუდებელი ჩარევების აშკარა აუცილებლობა, <u>რომელიც, დაზიანების წყაროს მიუხედავად, ასევე, იმის მიუხედავად, გაუარესდა თუ აღმოიფხვრა ეს დაზიანებები, უთუოდ გასათვალისწინებელი და განსახორციელებელია.</u> ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ მოქმედება განხორციელდეს ოპტიმალურად, გათვალისწინებული იყოს ზედაპირის <u>ხელახლა დამუშავების</u>[1] შესაძლებლობა (Re-treatability) და ის, რომ დეგრადაციის პროცესი მიმდინარეა. ამ კონტექსტში, საკმაოდ შემაშფოთებელია [კედლის მხატვრობის ჯგუფის მიერ შემუშავებული] 2023 წლის 1-23 დეკემბრის "კედლის მხატვრობის კრიტიკული არეალების სამოქმედო გეგმის დოკუმენტში წარმოდგენილი პოზიცია: "ამ ეტაპზე არაფრის გაკეთება არ შეიძლება საღებავის ფენის აქერცვლის პრობლემების შესამცირებლად (ამ ეტაპზე, ნებისმიერი ჩარევა, სავარაუდოდ, უფრო დიდ ზიანს გამოიწვევს)".

შესაძლო გადაუდებელი ღონისძიებებისთვის და საბოლოო ინტერვენციებისთვის, მისიის ჯგუფის რჩევაა, რომ განხილულ იქნას მხოლოდ ისეთი მასალების გამოყენება, რომლებიც შესაძლებელს გახდის განხორციელდეს არეალის "ხელახლა დამუშავება" და არ შეამცირებს ზედაპირების ფორიანობას, როგორიცაა მინერალური კონსოლიდანტები;

[1] *1 Re-treatability: ხელახალი დამუშავება: გარკვეულ არეალში განმეორებითი ჩარევის შესაძლებლობა, სხვადასხვა მასალის გამოყენებით. თანამედროვე კონსერვაციაში ეს კონცეფცია ანაცვლებს „შექცევადობის" კონცეფციას (ზედაპირზე გამოყენებული მასალის ამოღების შესაძლებლობა, რათა ის დაბრუნდეს საწყის მდგომარეობაში, ან სიტუაციაში, ან წინა მდგომარეობაში)*

გათვალისწინებულ იქნას 2022 წლის საკონსულტაციო მისიის ანგარიშის წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც ძალაში რჩება ამ ტიპის ინტერვენციებისთვის (იხ. 2022 წლის საკონსულტაციო მისიის ანგარიში 14-17 გვ.).

რაც შეეხება გარედან წყლის ინფილტრაციის შედეგად დაზიანებული მონაკვეთების გამოშრობის პროცესს და ძეგლის კედლების ზედაპირებისა და შიდა გარემოს სრულ სტაბილიზაციას, ამას ძალიან დიდი დრო სჭირდება. სწორედ ამიტომ, საკონსერვაციო სამუშაოებში პრიორიტეტების მკაფიო განსაზღვრა არსებითია. რეკომენდებულია, სამუშაოების ქვემოთ მოცემული მეთოდოლოგიით გაგრძელება, სრული სტაბილიზაციის ლოდინის გარეშე.

<u>დასკვნები და რეკომენდაციები</u>

მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობის შენარჩუნების მიმდინარე სამუშაოები უკიდურესად რთული გამოწვევაა. ენერგიისა და დროის მნიშვნელოვანი ინვესტირება ხდება მეცნიერულ კვლევებში, ასევე, სხვადასხვა განსახორციელებელი ქმედებების მეთოდოლოგიების შესწავლაში. თუმცა, შეშფოთებას იწვევს გადაუდებელი ჩარევების შეფერხება. მისიისთვის ამ შეფერხების დასაბუთებული მიზეზი არ წარუდგენიათ. გარდა ამისა, საზრუნავია გელათში სარეაბილიტაციო სამუშაოების საერთო გეგმის ეფექტური შემუშავება, რაც მოითხოვს კარგ ორგანიზებას, კოორდინაციას და დაგეგმვას. აქედან გამომდინარეობს ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამის მნიშვნელობა.

რაც შეეხება კედლის მხატვრობის საკითხებს, მისია შემდეგ რეკომენდაციებს გასცემს:

- აღარ დაყოვნდეს გადაუდებელი ჩარევები ფერწერისა და ნალესობის ფენებზე, რომელიც არამდგრად მდგომარეობაშია და რამოდენიმე არეალში ემუქრება ჩამოშლის/ჩამოცვენის საშიშროება.
- მონიტორინგის პროცესში, დრო დაეთმოს მოკლე მიმოხილვას, რათა მოხდეს ყველა ჩატარებული კვლევის შედეგების ერთიანობაში გავლა და გააზრება, შესაბამისი დასკვნების გამოსატანად და ჰოლისტიკური პროგრამის შესამუშავებლად, შემდეგი ნაბიჯების შესაბამისად:
    - ხელახლა გადაიხედოს სხვადასხვა კვლევები, შესაძლოა თემების მიხედვით (მაგალითად: ინფილტრაციის წარმოშობა, წვიმის წყლის გადაყვანა და შეგროვება, ფარდობითი ტენიანობის მნიშვნელობები, მაკროკლიმატი / მიკროკლიმატი და ა.შ.);
    - შეაჯამეთ დასკვნები ინდივიდუალურად,
    - განსაზღვრეთ პრიორიტეტები;
    - შეიმუშავეთ გადაწყვეტილებები:
    - გადაწყვეტილებები შეიყვანეთ შესაძლო ქმედებების ყოვლისმომცველ და ქრონოლოგიურ სიაში,
    - დასკვნები შეიტანეთ საკონსერვაციო პროგრამაში, რომელიც უნდა მოიცავდეს ღონისძიებების ქრონოლოგიურ სიას.

- ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამა, გეგმითა და საგზაო რუკით, წარადგინეთ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.

1c. მოზაიკა

აფსიდში გამოსახულია უნიკალური, ოსტატურად შესრულებული დიდი ფიგურები ოქროს ფონზე. მოცემული კომპოზიციის ზედა ორ მესამედს წარმოადგენს მოზაიკა, რომელიც შედგება სმალტისა და ქვის კენჭებისგან. ქვედა ნაწილი, დაახლოებით სცენის ერთი მესამედი კი, წარმოდგენილია მოგვიანო პერიოდში შექმნილი კედლის მხატვრობით. ეს მოხატული მონაკვეთი დაემატა იმ ადგილების შესავსებად, სადაც თავდაპირველად არსებული მოზაიკა ჩამოცვივდა, ან დროთა განმავლობაში სერიოზულად დაზიანდა.

Fig. 5. ანგელოზის გამოსახულება მოზაიკის მარჯვენა მხარეს. დიაგონალური შავი ხაზი მიჯნავს მოზაიკისა და მხატვრობის ნაწილებს.

პირველადი დათვალიერებისას, მოზაიკის ზედაპირი, თითქოს კარგ მდგომარეობაში იყო, მხოლოდ რამოდენიმე მონაკვეთია, სადაც კენჭები აკლია, მინიმალური ხილული გამომარილებით. თუმცა, მოზაიკის საკონსერვაციო მდგომარეობის კვლევებმა, რომელიც განახორციელა რობერტო ნარდიმ, მოზაიკის გამოჩენილმა კონსერვატორმა იტალიიდან და მისმა მაღალკვალიფიციურმა გუნდმა რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრიდან, გამოავლინა მძიმე დაზიანებები და ადრეული რესტავრაციები, რომლებიც კომპლექსურ ჩარევებს საჭიროებენ. რობერტო ნარდიმ, მისიის გუნდთან ონლაინ შეხვედრის დროს ხაზგასმით აღნიშნა, რომ „მოზაიკა, აფსიდა, ტაძარი და მისი სტრუქტურები, და ასევე, გარემო პირობები წარმოადგენს ერთ, ურთიერთდაკავშირებულ სისტემას“– ეს ხედვა განაპირობებს მის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კვლევებს, რომლის უდიდესი ნაწილი დასრულებულია და მემკვიდრეობის ამ გამორჩეული ნიმუშის საკონსერვაციო ჩარევების წინადადებები წარმოდგენილი იქნება 2025 წლის აპრილისთვის.

ინტერვენციის გეგმის შესაძლო მიდგომა, რომელიც უნდა დადასტურდეს კვლევების დასრულების შემდეგ, რობერტო ნარდიმ წარმოადგინა მისიის გუნდთან - ონლაინ

შეხვედრის დროს. ეს წინადადება, პირველ ნაბიჯად განსაზღვრავს მოსამზადებელი ფენების უფრო სუსტი უბნების კონსოლიდაციის ფრთხილ ქმედებებს მინერალური კონსოლიდანტებისა და ჰიდრავლიკური კირის ინფილტრაციის გამოყენებით - მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში. ამ ჩარევას თანმიმდევრული და რთული პროცედურა უნდა მოჰყვეს, რომელიც ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, რაც საჭიროა კენჭების ზედაპირსა და კედელს შორის არსებული სიცარიელის ამოსავსებად, რათა ხელახლა დაუკავშირდეს მოზაიკის ზედაპირი მის თავდაპირველ საფუძველს.

მისიის ჯგუფთან ონლაინ შეხვედრაზე, რობერტო ნარდის მიერ, წარმოდგენილ იქნა დაზიანების გავრცელების გრაფიკული გამოსახულება, ასევე, შიდა ინსპექტირების ვიდეო, რომელიც განხორციელდა მოქნილი ვიდეო ენდოსკოპით. შერჩეულ სატესტო არეალებზე დამატებითი ტესტები ჩატარდა კონსოლიდაციის (ზედაპირული და ღრმა), მარილების ამოღების, გაწმენდისა და საბოლოო დამუშავების შესაფასებლად.

Fig. 6. დაზიანებათა რუკა, რომელიც ასახავს მოზაიკური კომპოზიციის 85%-ის კედლიდან მოშორებას (რობერტო ნარდის ანგარიში, 2024 წლის 24 ივლისი)



Fig. 7, 8. ლითონის სამაგრები (ე.წ. კლამერები) რომელიც ჩამაგრებულია ისტორიული ზედაპირის შესანარჩუნებლად და მხატვრულად დამუშავებულია მოზაიკის წყობის იმიტაციის მიზნით.

Fig. 9. სატესტო ჩარევების რუკა (რობერტო ნარდი, შუალედური ანგრიში, 2024 წლის 24 ივლისი)



Fig. 10, 11. ზედაპირის გაწმენდის ტესტები (რობერტო ნარდი, შუალედური ანგრიში, 2024 წლის 24 ივლისი)

<u>დასკვნა და რეკომენდაციები</u>

მოზაიკის კონსერვაციის საბოლოო პროექტთან დაკავშირებით, მისიის ჯგუფს მიაჩნია, რომ კვლევის მიდგომა და მეთოდოლოგია დამაჯერებელია, ისევე როგორც დასკვნები, რომელიც მომდინარეობს დეტალური დაკვირვებიდან, ადგილზე ჩატარებული ტესტებიდან და სამეცნიერო კვლევების შედეგებიდან. მისიის გუნდი დარწმუნებულია, რომ კვლევისა და ტესტების შედეგები, მათ შორის, არსებული საკონსერვაციო მდგომარეობის რისკის შეფასება, ქმნის მყარ საფუძველს მოზაიკის კონსერვაციის აღმასრულებელი გეგმისთვის, რაც კვლევის ეტაპის დასკვნით პროდუქტს წარმოადგენს.

მისია რეკომენდაციას უწევს მოზაიკის კონსერვაციის აღმასრულებელი გეგმის, ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამის ფარგლებში, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში წარდგენას მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად.

1d. სტრუქტურული კვლევები და მონიტორინგი

“სტრუქტურული კვლევებისა და მონიტორინგის გეგმა“ მოიცავს ქმედებების ორ კატეგორიას: ქვის სტრუქტურის მასალების კვლევა და სტრუქტურული და მიკროკლიმატის მონიტორინგის სისტემების მოწყობა.

<u>სტრუქტურის კვლევის კამპანია</u> ჩატარდა 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის მაისამდე, მთავარი ტაძრის სტრუქტურებზე. კვლევები მოიცავდა როგორც ადგილზე ტესტების განხორციელებას, ასევე, აღებული ნიმუშების ლაბორატორიულ ანალიზს. კერძოდ, ქვის მასალის ტესტები მოიცავდა ვიდეოენდოსკოპურ კვლევებს, მიკროსეისმო-ბგერით კვლევებს - ქვის, კირხსნარისა და შემავსებლების ნიმუშებზე და ამ ნიმუშების ლაბორატორიულ ანალიზებს. შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ ქვის წყობა სამშრიანია: კირქვის ბლოკებისაგან აგებული ორი საპირე წყობა, რომელთა შიგნით არის

კირხსნარისა და კირქვის შედარებით მცირე ქვებისგან შედგენილი, ნაკლებად რეგულარული წყობის ფენა. ლაბორატორიული ანალიზები დასრულებულია და შედეგებით დადგინდა შემავსებელი ხსნარების შემადგენლობა და მათი საკონსერვაციო მდგომარეობა. ქვის ბგერითი (sonic) კვლევის ექვსი შედეგი მიუთითებს წყობის მასალის ერთგვაროვნებაზე და არ მიუთითებს შიდა წყობის განსაკუთრებულ დეფექტებსა და დარღვევებზე.

მეტიც, 2023 წლის ნოემბერში, ბზარების ევოლუციის ეფექტური კონტროლისთვის მთავარ ტაძარში დაინსტალირდა სტრუქტურული მონიტორინგის სისტემა 'DAS – Data Acquisition System'.

დამატებით, მიკრო-კლიმატის მონიტორინგი მიმდინარეობს 2020 წლის დეკემბრიდან. სტრუქტურული ჰიგრომეტრიული კვლევა მარილების შესწავლის კორელაციაში განხორციელდა სრულყოფილი მეთოდოლოგიით 2024 წელს და საჭიროების შემთხვევაში, თანმიმდევრულად გაგძელდება.

მონიტორინგის პირველი პერიოდული ანგარიში მოიცავდა დაახლოებით ცხრა თვის პერიოდს, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებელი იყო დაზიანებებზე დაკვირვება - პირველი თერმული ციკლის პირველ ნახევარში. იმის შესამოწმებლად, არის თუ არა დაზიანებების ევოლუციური ტენდენცია, უნდა დაველოდოთ პირველი თერმული ციკლის დასრულებას, რომელიც 2024 წლის ნოემბერშია მოსალოდნელი. აქამდე მიღებული შედეგები, რომელიც ეყრდნობოდა მონიტორინგის წერტილებში სენსორების ქცევის დაკვირვებებს, ადასტურებს ტემპერატურასა და დეფორმაციას შორის საპირისპირო დამოკიდებულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ დეფორმაცია მცირდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად. განსაკუთრებული კავშირი ნალექების რაოდენობასა და დაზიანებების გაფართოება-შევიწროვებას შორის არ აღინიშნება.

როგორც ეს 2022 წლის საკონსულტაციო მისიით იყო რეკომენდებული, ტაძრის შიდა და გარე სტრუქტურის 3D ლაზერული სკანირება განხორციელდა. გარდა ამისა, შესრულდა ყოვლისმომცველი კვლევა დრონის გამოყენებით, რამაც, შესაძლებელი გახადა ძეგლის ორთოფოტოგრაფიის გენერირება. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები უზრუნველყოფს თანამედროვე არქიტექტურული კვლევის განხორციელების შესაძლებლობას, რომლის საფუძველზე ძეგლის პათოლოგია დიდი სიზუსტით ფიქსირდება - როგორც საბაზისო კვლევა ქვის კონსერვაციის პროექტის განსახორციელებლად.

ასევე, უნდა აღინიშნოს, მონასტრის ტერიტორიაზე არსებულ ნაგებობასა და ადაპტირებულ კონტეინერებში მოწყობილი ლაბორატორიები, სადაც, კონსერვატორებს აქვთ შესაძლებლობა, დაუყოვნებლივ განახორციელონ ანალიზები და დამატებითი კვლევები. გარდა ამისა, ძველ შენობაში მოეწყო საოფისე სივრცე, რომელიც გამოიყენება ფიზიკური და ონლაინ შეხვედრებისთვის. ეს არის დადებითი წინ გადადგმული ნაბიჯები ორი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

სტრუქტურული კვლევების მოსამზადებელი ეტაპი ამჟამად დასრულებულია. ავტომატური სტატიკური მონიტორინგის სისტემის დამონტაჟება, რომელიც დღემდე მოქმედებს და რომელიც ფოკუსირებულია მონიშნული მთავარი ბზარების ქცევის კონტროლზე, ეფექტურია, მაგრამ არ არის საკმარისი. მისია რეკომენდაციას უწევს,

ავტომატური სტატიკური მონიტორინგის სისტემის ერთეულების სხვა მნიშვნელოვან წერტილებში დამატებას, რათა მომზადდეს ყოვლისმომცველი ანგარიში მთავარი ტაძრის მთლიანი სტრუქტურის სტატიკური ქცევის გრძელვადიანი მონიტორინგისა და აღრიცხვის საფუძველზე.

ვერ იქნა მოწოდებული ინფორმაცია გუმბათის ქვეშა კამარების მერიდიანული ბზარის მდგომარეობის შესახებ, ხოლო ხარაჩო ჯერ არ ასულა გუმბათის ზედა ნაწილამდე, რათა მოხდეს მისი მდგომარეობის შემოწმება ეკლესიის ინტერიერის მხრიდან. ახლო მომავალში მოსაწყობი ერთიანი გადახურვა და შემდეგ კრამიტის ფილების ახსნა, გუმბათის —კამარის ბზარების შემოწმების შესაძლებლობას გააჩენს.

მისია კიდევ ერთხელ იმეორებს - 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ გაცემულ №12 რეკომენდაციას, რომლის თანახმადაც "საჭიროა შენობის განივ მკლავებში თლილი ქვების მიკრომოძრაობების გრძელვადიანი საფუძვლიანი და ზუსტი კვლევის ჩატარება 3D მოწყობილობების დახმარებით - დასავლეთ მკლავზე განსაკუთრებული აქცენტით"; ასევე, №13 რეკომენდაციას , რომლითაც რეკომენდებულია " მთლიანი სტრუქტურული კვლევის ჩატარება და ძეგლის სტატიკური ადეკვატურობის აღსადგენად - აქცენტით სტრუქტურის ზედა ნაწილებზე, ჩარევის პროექტის მომზადება". აღნიშნული უნდა განხორციელდეს ქვის კონსერვაციის პროგრამის პარალელურად (იხილეთ თავი1e).

1e. მთავარი ტაძრის ფასადების ქვის კონსერვაციის პროგრამა

ინტერიერში არსებული კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება უნდა იყოს დაკავშირებული გარე კედლების საკონსერვაციო მდგომარეობის ყურადღებით შეფასებასთან, განსაკუთრებით, ქვის ზედაპირების მდგომარეობისა და მათი შეპირაპირების ადგილების მდგომარეობის კვლევასთან. გელათის მონასტრის ტაძრების გარე ფასადების ინსპექტირება მნიშვნელოვანია, რადგან მრავალ არეალში, სახეზეა ქვების ზედაპირების სერიოზული დაზიანენებები. ეს ასევე ხილულია ზოგ საარქივო ფოტოზეც და ეს დაზიანებები უნდა იყოს განხილული შიდა დაზიანებებთან კავშირში, მით უფრო ერთიანი გადახურვის მოწყობის შემდეგ, როდესაც წვიმის წყალი ვეღარ მიაღწევს გარე კედლებამდე. როგორც პრევენციული ღონისძიება, საკოსნერვაციო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მანამდე, ვიდრე მოიხსნება ერთიანი დროებითი გადახურვა.

სხვადასხვა ანგარიშებში წარმოდგენილ გამოსახულებებში ძალიან ნათლად ჩანს ქვის ფასადების ზედაპირების მდგომარეობის გაუარესება. ანგარიშებში წარმოდგენილი ინფორმაცია არ აანალიზირებს კავშირს გარე ზედაპირების დაზიანებებსა და შიდა დაზიანებებს (ძველსა და ახალზე) შორის მთავარ ტაძარში. შესაბამისად, საჭიროა ამ არეალებისთვის დაზიანებათა რუკის შექმნა, რათა ზემოაღნიშნული პოტენციური კავშირები უკეთესად იქნას გააზრებული.

Fig. 12. 2011 პინო დელ' აქუილა, გელათის მთავარი ტაძრის ფოტო,

მისია მხარს უჭერს 2020 წლის დეკემბერში დაწყებული მონიტორინგის პროექტის გაგრძელებას, 2022 წლის საკონსულტაციო მისიის ანგარიშის ინდიკატორის 1.10 „მიკროკლიმატის მონიტორინგი და სტაბილიზაცია“ და ალესანდრო მასარის „სტრუქტურული ჰიგრომეტრიული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის კვლევების“ (2021-2022) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავენ მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჰაერის პარამეტრების გასაზომი სენსორების დასამონტაჟებელ რაოდენობას და მდებარეობას, მონასტრის ტერიტორიაზე ქარის მიმართულებისა და ინტენსივობის გასაზომ სენსორს, მონაცემთა ჩაწერის ინტერვალსა და მათი დოკუმენტირების პირობებს (დამოკიდებულია კარების მდგომარეობაზე, ვიზიტორების არსებობაზე, ფიზიკურ სამუშაოებზე, განსაკუთრებულ ღიობებზე და ა.შ.).

<u>დასკვნა და რეკომენდაციები</u>

მისიის გუნდი მიიჩნევს, რომ კედლის მხატვრობის შიდა გაუარესების პირდაპირი მიზეზები ჯერ არ არის ნათლად დადგენილი - შენობის გარე ზედაპირების მდგომარეობასთან მიმართებაში. შესაბამისად, მისია რეკომენდაციას უწევს <u>ქვის კონსერვაციის პროგრამის</u> ორ ფაზად განხორციელებას:

1. <u>წინა საკონსერვაციო კომპლექსური კვლევა:</u>
   - მთავარი ეკლესიის ფასადების სამშენებლო მასალების მდგომარეობის შეფასება (წინა ინტერვენციების გათვალისწინებით);
   - სამშენებლო მასალების დაზიანების მიზეზების და აქტივაციის მექანიზმების კვლევა;
   - მთავარი ტაძრის გარე და შიდა ბზარების მდებარეობის/ზომის შეფასება და მათ შორის კავშირების გაანალიზება;
   - გარე ზედაპირების ქვის მდგომარეობის გაუარესებისა და მთავარი ტაძრის შიდა

კედლების მდგომარეობას შორის კავშირების შეფასება, ასევე წყალგაგადამყვან სისტემასთან კავშირში მდგომარეობის გაანალიზება;

- გარემო პირობების შეფასება, მიკროკლიმატის დახასიათებით (ჰაერის შესაძლო დაბინძურების ანალიზის ჩათვლით) და გელათის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიის გეოლოგიით;
- ინ-სიტუ ანალიზები: ვიზუალური შემოწმება, აღწერილობები და წერილობითი დოკუმენტაცია, ვიზუალური დოკუმენტაცია (ფოტოგრაფირება და გრაფიკული რუკების მომზადება);
- ქვისა და კირხსნარის ნიმუშების ლაბორატორიული ანალიზების განხორციელება შემდეგი მეთოდოლოგიებით: ნიმუშის მიკროსკოპული აღწერა, ნიმუშის ბინოკულარით შემოწმება, მცირე ნიმუშების აღება პეტროლოგია-მინერალოგიისთვის, რენტგენის დიფრაქციის ანალიზები, ნაწილაკების ზომის განაწილება. ამ ანალიზების შედეგები უნდა იყოს წარმოდგენილი ტექსტური, ასევე, ფოტო-დოკუმენტირებული ფორმით;
- ლაბორატორიული ცდები სამშენებლო მასალის სხვადასხვა სახის გამოქარვის დაზიანებისგან კონსოლიდაციის მეთოდების შესამუშავებლად;
- ბიოლოგიური გაუარესების კვლევა;
- დასკვნები და რეკომენდაციები.

ეს წინასწარული კვლევა უნდა განხორციელდეს ძეგლის ინტერიერში არსებული ბზარების დეტალურ კვლევასთან კავშირში, როგორც შენობის სტრუქტურული სტაბილურობის საერთო მონიტორინგის ნაწილი. კვლევამ უნდა წარმოაჩინოს ასევე საფასადო ქვის ზედაპირების გაუარესებისა და შიდა კედლების ზედაპირებზე დეგრადაციის ფენომენებს შორის კავშირები. სასარგებლო იქნება ICOMOS-ის მიერ, ქვის საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტისთვის მომზადებული და გამოქვეყნებული (2008) „ქვის დეგრადაციის ილუსტრირებული ლექსიკონის“ შესაბამისად, გელათის მთავარი ტაძრის ფენომენისთვის ადაპტირებული სამშენებლო მასალების მდგომარეობის ვიზუალური ექსპლიკაციების მომზადება.

გარდა ამისა, შენობის ყოვლისმომცველი სტატიკური ანალიზის შედეგების საფუძველზე, ძეგლის ფასადებზე ინტერვენციის კვლევამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გუმბათის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში სარკმლების წინა პერიოდის ჩამკეტებს, რათა დადგინდეს, საჭიროა თუ არა ძველი ჩამკეტების მოხსნა და მათი მეტალის დამაკავშირებელი ელემენტებით (tie-blades) ჩანაცვლება.

2. <u>საკონსერვაციო სამუშაობი,</u> ყოვლისმომცველი წინასაკონსერვაციო კვლევის დასკვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე:
   - ტაძრის ფასადების პრობლემური ზონების მკურნალობა;
   - ბიოლოგიური დაზიანებებისა და მარილებისგან გაწმენდა;
   - წინა წარუმატებელი ინტერვენციების (ძირითადად ცემენტის ბათქაში/ხსნარი) მოცილება;
   - ქვის ზედაპირების მიკრო-კონსოლიდაცია და მიკრო-შევსებები: მიკრო ბზარები, ნადებები, აქერცვლა, გაფხვიერება;
   - ფასადის ქვის კონსოლიდაცია;
   - ხსნარით ინექცირება / ნაკერების შევსება;
   - ქვის დაკარგული ელემენტების აღდგენა/რეკონსტრუქცია (განსაკუთრებით, სახურავის კიდეებზე, კარნიზების დაკარგული ქვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს წვიმის წყლის ნაკადების სწორი მიმართულებით გადაყვანა).

1f. წყლის შეგროვების სისტემა

დოკუმენტი, რომელიც მკაფიოდ აღწერს კავშირს მთავარი ტაძრის გარე კედლების მდგომარეობასა და შიდა დაზიანებებს შორის, ასევე, ინფორმაცია წყლის შეგროვების სისტემის მდგომარეობის შესახებ, არ არსებობს. მიუხედავად ამისა, გარემოს მონიტორინგის ანგარიშში, რომელიც მოამზადა მარიამ საღარაძემ (ხელმისაწვდომია დროებითი კომიტეტის ვებგვერდზე), ბევრი ინფორმაციაა ტაძრის შიდა კლიმატზე.

მიუხედავად ამისა, წყლის შეგროვების მთლიანი სისტემის ყოვლისმომცველი შეფასება კვლავ საჭიროა. აღნიშნული შეფასება უნდა მოიცავდეს სისტემის გრაფიკული რუკის კორელაციას შიდა ზედაპირების დეგრადაციის რუკასთან (როგორიცაა ქვის ზედაპირები, ბათქაში, კედლის მხატვრობა და მოზაიკა) და რეგულარული მონიტორინგისა და მოვლის გრაფიკის განსაზღვრას. ძეგლის სტრუქტურული მდგრადობისა და მისი დეკორატიული ელემენტების ურთიერთკავშირი კრიტიკულად მნიშვნელოვანია. თავდაპირველ ანგარიშებში ამ ურთიერთკავშირებზე ფოკუსირება იყო, თუმცა, ბოლო პერიოდში, აქცენტმა უფრო გარემოსდაცვით ასპექტებზე გადაინაცვლა.

აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ დასკვნებით, რომ „არამდგრადი კლიმატური პირობები შეიძლება ჩაითვალოს გელათის მონასტრის კომპლექსში კედლის მხატვრობის დაზიანების ერთ-ერთ მთავარ მაპროვოცირებელ ფაქტორად“ და რომ „ტაძრის შიდა მიკროკლიმატზე (ინტერიერი) მთავარი გავლენა ექნება გარე მაკროკლიმატს (ტაძრის გარშემო არსებულ გარემოს)“, როგორც ეს აღნიშნულია მარიამ საღარაძის მიერ მომზადებულ გარემოს მონიტორინგის ანგარიშში.

<u>დასკვნები და რეკომენდაციები</u>

მისია იმეორებს 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ შემუშავებულ და შეუსრულებელ მე-19 რეკომენდაციას - ტერიტორიაზე წყლის ნაკადების სისტემის საკითხის მოგვარებისა და ქვებსა (ქვედა რეგისტრებზე) და კედლის მხატვრობაზე კაპილარული აწოვის ზემოქმედების შესწავლის საჭიროებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მთავარი ტაძრის ახალი ერთიანი დამცავი გადახურვიდან ჩამომავალი წვიმის წყალი თავისუფლად არ იჟღინთებოდეს ტაძრის გარშემო მიწაში. წყალი გადაყვანილ უნდა იქნას დროებითად მოწყობილ სადრენაჟო სისტემის მეშვეობით, რომელიც წინასწარ ჩამოსხმული ბეტონის ელემენტებისგან იქნება დამზადებული (მარტივი დასამონტაჟებელი და მოსახსნელი), რადგან, თუ წვიმის წყლის ნაკადი უკონტროლოდ იმოძრავებს იგი შეიძლება დაგროვდეს დამცავი გადახურვის მეტალის კონსტრუქციის საყრდენი ადგილების ირგვლივ, რაც დამატებით საფრთხეს შეუქმნის ძეგლს.

მისია რეკომენდაციას უწევს წვიმის წყლის შეგროვებისა და გადაყვანის სისტემის შეფასების დასრულებას, რომელიც დაიწყო 2020 წელს, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- წყლის შეგროვების სრული სისტემა უნდა დაექვემდებაროს დეტალურ ინსპექტირებას, რომელიც მოიცავს მის ყველა კომპონენტს (წყლის ნაკადის მოძრაობა სახურავიდან სახურავზე, ღარები, შემკრები კვანძები, წყლის გადამყვანი მილები, მათ შორის საბოლოო გამანაწილებელი ჭები და შემკრები ავზები მიწის დონეზე), ასევე წყლის ნაკადის მოძრაობის მარშრუტის დადგენას სახურავებიდან საბოლოო გადანაწილების კვანძამდე;

- თითოეული სეგმენტის ფუნქციონალურობის შესახებ უნდა შეგროვდეს შესაბამისი დოკუმენტაცია;
- სისტემის ზემოაღნიშნული ელემენტები უნდა იქნეს იდენტიფიცირებული და რუკაზე დატანილი მათი წარმომავლობის მიხედვით: (i) ეკუთვნის თუ არა პირვანდელ, ორიგინალ სისტემას, (ii) არის თუ არა შეკეთებული სისტემის ნაწილი, რომელიც სხვადასხვა რემონტისა თუ "გაუმჯობესების" შედეგად შეიცვალა, (iii) მიეკუთვნება თუ არა მოქმედ სისტემას, რომელიც ამჟამად ასრულებს წვიმის წყლის შეგროვებისა და გადანაწილების ფუნქციას;
- დროებითი დამცავი გადახურვიდან ჩამონადენი წყლის საბოლოო გადაყვანის მარშრუტის განსაზღვრა.

ინსპექტირება ასევე, უნდა მოიცავდეს წყლის შეგროვების საბოლოო წერტილების იდენტიფიცირებას და რუკაზე დატანას მიწის დონეზე, წყლის ნაკადის მარშრუტების გამოვლენას და წყლის დაგროვების იმ შესაძლო გუბურებს ან ნესტიანი ზონების ლოკაციებს, რაც რისკს უქმნის სტრუქტურას. ამ კონტექსტში, დროებითი დამცავი გადახურვის დამონტაჟებისას, ყურადღება უნდა მიექცეს წყლის გადაყვანას დროებითი დამცავი სახურავებიდან, რათა გარანტირებული იყოს როგორც თავად შენობის, ისე მისი საყრდენი კარკასის სტაბილურობა, რომელიც შესაძლოა დაზიანდეს თუ წყალი არაკონტროლირებადი ნაკადით ჩაიღვრება ან დაგროვდება გრუნტში.

ამ ტიპის ინსპექტირება და შეფასება, როცა ხარაჩოს სტრუქტურა ადგილზეა, უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი მონაცემების შეგროვებას შენობისა და წყლის სისტემის სამომავლო ურთიერთქმედებაზე, რაც მნიშვნელოვანი იქნება წყლის შეგროვების ახალი სისტემის პროექტის შესამუშავებლად და რასაც უნდა დაეყრდნოს მთავარი ტაძრის ახალი მუდმივი სახურავის პროექტი. ეს ხელს შეუწყობს გრძელვადიანი მართვის უკეთეს დაგეგმვას.

2. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი

დრონის მეშვეობით 3D ლაზერული სკანირების მეთოდით, წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის შიდა და გარე ნაწილების კომპლექსური კვლევითი სამუშაოები დასრულებულია; ტაძრის ფასადების ანაზომების დოკუმენტაცია წარმოდგენილია, ხოლო დაზიანებების დეტალური რუკის შედგენა, ჯერჯერობით, მიმდინარეობს.

ყოვლისმომცველი საკონსერვაციო გეგმის შესადგენად საბაზისო კვლევები მიმდინარეობს და მოიცავს: (i) გარემოს მონიტორინგსა და კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგს; (ii) მარილების ანალიზს კედლის მხატვრობის ყველაზე კრიტიკულ მონაკვეთებში (შესრულებულია); (iii) ტაძრის ფასადებზე დაზიანებების რუკის შედგენას (შესრულებულია). წმინდა გიორგის ტაძრის კონსერვაციის ყოვლისმომცველი პროექტის შემუშავების დასრულება მოსალოდნელია 2025 წლისთვის.

ვიდრე ერთიანი დამცავი საფარის მოწყობის პროექტი არ განხორციელდება, ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყლის ეფექტურად შეგროვებასა და მის გადაყვანაზე ძეგლის საძირკვლიდან მოშორებით, იმის გათვალისწინებით, რომ ტაძრის შიდა და გარე კედლებზე ტენიანობის და მარილების ფორმირების ფენომენები (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ქვედა რეგისტრში) უცვლელად გრძელდება.

Fig. 13, 14. წმ. გიორგის სახელობის ეკლესია: ხედი ჩრდილოეთის მხრიდან; ინტერიერში ტენიანობის ეფექტი

3. <u>გელათის სამონასტრო კომპლექსი</u>

3a. 2024 წლის ძლიერი შტორმის საპასუხოდ განხორციელებული გადაუდებელი ქმედებები

2024 წლის 5-6 თებერვალს ძლიერი წვიმის გამო, რომელსაც თან ახლდა ძალიან ძლიერი ქარი, წყლის შეღწევა მოხდა როგორც მთავარი ეკლესიის, ისე წმინდა გიორგის ეკლესიის ინტერიერის გარკვეულ მონაკვეთებში. დროებითმა კომიტეტმა განახორციელა გადაუდებელი ღონისძიებები მოწყვლად უბნებზე დაცვის სპეციალური საშუალებების მოწყობის გზით, როგორიცაა ფასადზე სტრუქტურის შეპირაპირების ზოგიერთ მონაკვეთზე თუნუქის ფურცლისა და კაუჩუკის საიზოლაციო სპეციალური მასალის დამცავი ფენის მოწყობა.



Fig. 15. დასავლეთ ფასადის ვერტიკალური კედლის - ნართექსის დროებით გადახურვასთან პრობლემური შეერთების ხაზი: ჩარევა შტორმის შემდეგ

3b. გეოფიზიკური კვლევა

2024 წლის მაისში, გელათის მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარდა მაგნიტომეტრიული და რეზისტენტობის პროსპექციული კვლევა, რომელმაც მოიცვა მთავარი ტაძრის ირგვლივ ყველა ხელმისაწვდომი მონაკვეთი. გაზომვებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოავლინა მიწისქვეშა ფარული სტრუქტურების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია არხის მარშრუტი და დიდი რაოდენობით ჭაბურღილები, ასევე ტაძრის ჩრდილოეთით და სამხრეთით განლაგებული შენობების ნაშთების მტკიცებულებები; აღმოჩენილ იქნა ადრეული აფსიდის ნაშთები ტაძრის აღმოსავლეთ მხარეს. კვლევის ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა, რომ შემდგომ ეტაპზე გამოყენებულ იქნას გრუნტის გამჭოლი რადარი (GPR), რათა დაზუსტდეს აღმოჩენების სიღმეები. მისია მხარს უჭერს ამ მიდგომას.

3c. არქეოლოგიური კვლევა

როგორც მართვის გეგმის პროექტში არის აღნიშნული, „შესაბამისი ცოდნისა და უნარების ნაკლებობასთან ერთად, ადმინისტრაციული და ფინანსური სირთულეების გამო, არქეოლოგიური ნაშთების მდგომარეობა ძალიან გაუარესებულია“ (გვ. 43). გეოფიზიკური კვლევის შედეგები, რომელიც ჩატარდა არქეოლოგიური კვლევებისა და გათხრების პარალელურად, საფუძვლად უნდა დაედოს არქეოლოგიური კვლევითი პროგრამის შემუშავებას.

3d. მონასტრის გრუნტისქვეშა წყლების შემოდინების კვლევა

მონასტრის გარე პერიმეტრის გარშემო განხორციელდა გეოლოგიური ბურღვითი კვლევები და გამოვლინდა მიწისქვეშა წყლის ძარღვი. კვლევები გაგრძელდება წლის ოთხივე სეზონზე და ხელს შეუწყობს წყლის გადაყვანისს/დრენაჟის პროექტის შემდგომ განვითარებას (პირველი ანგარიში მომზადების პროცესშია).

3e. დოკუმენტაცია და ხელმისაწვდომობა

დროებითი კომიტეტი ეტაპობრივად აწარმოებს დეტალურ დოკუმენტაციას მონიტორინგისა და ძეგლის მდგომარეობის კვლევების მულტიდისციპლინური შედეგების, დღემდე განხორციელებული ყველა ინტერვენციის ანგარიშების, ასევე, შემუშავებული საგზაო რუკებისა და პროგრამების თაობაზე. 2023 წელს, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი – www.gelatirehabilitation.ge, სადაც იტვირთება დოკუმენტაცია გელათის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ და თავისუფლად არის ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის. ვებგვერდი ძალზე სასარგებლოა მონასტერთან დაკავშირებული დოკუმენტების მოცულობითი მასალის გასაცნობად. 2007 წლიდან 2024 წლამდე შეგროვებული ინსპექტირების ანგარიშები, ანალიზები, კვლევები, სურათები, ნახაზები და გეგმები ამ ძეგლის შენარჩუნებაში ჩადებულ დიდ ზრუნვას და ერთგულებას ასახავს. წარმოდგენილი მასალა მუდმივად ახლდება პროექტის განვითარებასთან ერთად. ვებგვერდს აქვს ინგლისურენოვანი ვერსიაც.

3f. უნარების გაძლიერება

საკონსერვაციო პროგრამის ადგილობრივი ხელმძღვანელები, საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით, რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა თემატურ ვორქშოფებს. დღემდე ჩატარებულია ორი კურსი, რომელიც კონცენტრირებულია გარემოს მონიტორინგზე, მარილების შესწავლასა და ფიზიკური ჩარევის მეთოდებისა და სტრატეგიების უნარების გაუმჯობესებაზე.

<u>დასკვნები და რეკომენდაციები</u>

მხარდაჭერილია შემდგომი გეოფიზიკური, არქეოლოგიური და მიწისქვეშა წყლების ნაკადების კვლევები, რათა მივიღოთ ძეგლის მახასიათებლების უფრო სრულყოფილი სურათი კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამის საფუძვლისთვის.

2022 წლის საკონსულტაციო მისიის მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა მთავარ ტაძარში ჰაერის ნაკადების შესამცირებლად, განსაკუთრებით დასავლეთის მხარეს - დროებითი ორმაგი კარების დაყენების საჭიროებას, მისია მიიჩნევს, რომ 2024 წლის ნოემბრისთვის დასრულებული კვლევის დასკვნებიდან გამომდინარე გადაწყდება არის თუ არა ამ ღონისძიების განხორციელების საჭიროება.

B. მართვის სისტემა, მათ შორის მართვის გეგმის განახლება

1. <u>პასუხიხისმგებლობები</u>

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო არის მთავარი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზოგადი სტრატეგიისა და პოლიტიკის განხორციელებასა და კოორდინაციას. მის დაქვემდებარებაში არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო უზრუნველყოფს ძეგლის ავთენტურობისა და მთლიანობის დაცვას, მისი განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებისა და ფიზიკური ელემენტების კონსერვაციას. 2020 წელს, სააგენტოს მიერ შეიქმნა „მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭო“, რომელშიც მოიწვიეს ეროვნული და ადგილობრივი სააგენტოების წარმომადგენლები, ასევე იმ პროფესიული ინსტიტუტების წევრები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული ძეგლის მართვაში.

2023 წელს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც, მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროცესის მართვა გადაეცა საპატრიარქოს მიერ შექმნილ დროებით კომიტეტს.

2024 წლის ძეგლის მართვის გეგმის პროექტის მიხედვით, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ინარჩუნებს ნებართვების გაცემის, ძეგლის მონიტორინგისა და კონსერვაციის პროცესებზე ზედამხედველობის ფუნქციას“. თუმცა, მისიამ, დროებით კომიტეტთან და ცალკე სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს დაადგინა, რომ თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეზღუდულია,

ხოლო ეროვნული სააგენტოს როლი, პრაქტიკულად, მხოლოდ სამუშაოებზე ნებართვების გაცემით არის შემოფარგლული, დოკუმენტაციის საფუძვლიანი განხილვისთვის შეზღუდული დროის პირობებით.

თანამშრომლობის აღნიშნული ნაკლებობა ასევე გამოვლინდა დროებითი კომიტეტის მიერ მართული მართვის გეგმის განახლების პროცესში: თავად დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ „მართვის გეგმის შემუშავების პროცესში ვერ მოხერხდა წერილობით მოთხოვნილი ინფორმაციის მიღება და სამინისტროსა და სააგენტოს შესაბამის ერთეულებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება“ (გვ. 8).

გარდა ამისა, როგორც მართვის გეგმის პროექტის შესახებ მომზადებული დამატებითი კომენტარებიდან ჩანს, მთელი ძეგლის, მათ შორის, მისი ბუფერული ზონის (სადაც წამყვანი როლი თვითმმართველ ერთეულებს – ტყიბულის, თერჯოლის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტებს უკავიათ) მართვას მნიშვნელოვნად გაუმჯობესებდა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, განსაკუთრებით კი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის.

დროებითი კომიტეტის ფარგლებში, საქართველოს საპატრიარქომ შექმნა ორი საკონსულტაციო ორგანო – ეროვნული სამეცნიერო საბჭო (4 წევრი) და საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭო (7 წევრი). დროებითი კომიტეტის დებულების მიხედვით, გელათის მონასტრის კომპლექსში განხორციელებული ყველა საკონსერვაციო პროექტი განიხილება როგორც ეროვნულ სამეცნიერო საბჭოში, ასევე საერთაშორისო საკონსულტაციო საბჭოში.

თუმცა, ორივე საბჭოს წევრებთან და სხვადასხვა საკონსერვაციო პროგრამების ხელმძღვანელებთან პრეზენტაციების ფორმატში შეხვედრებისას მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მისია მიუთითებს საკვანძო საკონსერვაციო საკითხებზე პრიორიტეტების განსასაზღვრად, ვადების დაგეგმვისა და ჩარევის მეთოდოლოგიის კუთხით გადაწყვეტილებების მისაღებად პროფესიული ხელმძღვანელობის არსებობის საჭიროებაზე - ყოველი ეტაპის ინტერვენციის თანმიმდევრულად და ჰოლისტიკური მიდგომით განსახორციელებლად. მიუხედავად იმისა, რომ პრეზენტაციები მიზნად ისახავდა იმის დაწმუნებას, რომ გადაწყვეტილებების მიღება დროებითი კომიტეტის ფარგლებში ერთობლივად ხორციელდება, რეაბილიტაციის სამუშაოების სხვადასხვა მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი საერთო კოორდინაციის პროცესს ცხადი სტრუქტურა არ გააჩნია. მისიამ მიიჩნია, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაძლიერება აუცილებელია.

2. მართვის გეგმა

2a. ზოგადი კომენტარები

ძეგლის მართვის გეგმის პროექტი წარმოადგენს 2015 წელს მომზადებული და 2017 წელს რედაქტირებული მართვის გეგმის განახლებულ ვერსიას. დოკუმენტი მომზადდა მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის N45 COM 7B.54 (2023) გადაწყვეტილების შესაბამისად. გეგმის პროექტი შეიქმნა ძეგლის საკონსერვაციო პროგრამებში ჩართულ

სპეციალისტთა ჯგუფებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო კონსულტანტის მეთოდოლოგიური მხარდაჭერით. თუმცა, როგორც თავად დოკუმენტშიც არის აღნიშნული, „მართვის გეგმის სამუშაო ჯგუფს არ ჰქონდა შესაძლებლობა, ეთანამშრომლა სააგენტოსთან სამუშაო დავალების ან სხვა მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელებისას. სტრატეგიული თანამშრომლობის ნაკლებობის გამო, მართვის გეგმა შემოიფარგლა არსებული დროებითი მართვის სტრუქტურის მანდატით და მოიცავდა მისი ტექნიკური გაუმჯობესების რეკომენდაციებს“ (გვ. 8).“

მისია მიიჩნევს, რომ მართვის გეგმის პროექტი შემუშავდა პროფესიულ დონეზე, სათანადო და ეფექტური სტრუქტურის შესაბამისად, რაც, ძეგლსა და მის დამცავ ზონაში არსებული პრობლემების დეტალური ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. დოკუმენტში აღწერილია ორგანიზაციული და სამეცნიერო მუშაობა, რომელიც დღემდე არის განხორციელებული საკონსერვაციო მართვის გეგმის ფარგლებში. სტრატეგიული და სპეციფიკური მართვის მიზნები მნიშვნელოვანია და მკაფიოდ არის განსაზღვრული. მნიშვნელოვანი პროგრესია დამცავ ზონაში განახლებული მონაცემების ანალიზის კუთხით. დაცვისა და ზონირების პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები მომზადებისა და დამტკიცების პროცესშია.

განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ძეგლის გამორჩეული ზოგადასაკაცობრიო ღირებულების (OUV) მახასიათებლების კონსერვაცია და მონიტორინგი, სადაც მათი ისტორიული მტკიცებულებები, კულტურული მნიშვნელობა და სივრცითი ხარისხი დეტალურად არის გაანალიზირებული და განმარტებულია ძეგლისა და მისი დამცავი ზონის მიმართ. მაღალი რანგის თანამშრომლობის სირთულეების მიუხედავად, მრავალმხრივი მონაწილეობის ფაქტი წარმოადგენს დამატებით მიღწევას ამ დოკუმენტის მომზადების პროცესში: პროცესში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი ეროვნული სააგენტოები, რეგიონალური ადმინისტრაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, ასევე, გელათის მონასტრის თემი და სხვა დაინტერესებული მხარეები.

მისიის მიერ რეკომენდებულია, განახლებული მართვის გეგმის პროექტის შემდეგი თავის: „ზემოქმედების ფაქტორები“ (გვ. 43-44) გადახედვა და დასრულება, განახლებული და დეტალური მონაცემებით, რომელიც მოიცავს დამცავი ზონის ფართო არეალს - ატმოსფერული პირობების (მათ შორის სეისმური ფაქტორების, ძლიერი ქარის, ხანძრის რისკის, რომელსაც უკვე მოჰყვა ტრაგიკული შედეგები მონასტრისთვის) გარდა, ასევე, ვიზიტორთა ზრდის ფაქტორის შესაძლო ზეგავლენების განხილვას.

2b. ვიზიტორთა მართვის კონკრეტული რეკომენდაციები

გრძელვადიან პერიოდში, მონასტერში ვიზიტორთა ნაკადების მართვისთვის, რომელიც აუცილებლად გაიზრდება, რეკომენდებულია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ვიზიტორთა ცენტრის ამოქმედება, ასევე, სოხასტერში არსებული ნაგებობების გამოყენება;
- სასურველია, ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადებისთვის - პარკინგის სხვა ახლომდებარე ტერიტორიაზე მოწყობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ვიზიტორთა მომსახურების დამატებითი საშუალებებით, ელექტრომანქანებით, რომლითაც ვიზიტორთა ნაწილი შეძლებს ადგილზე მისვლას, ხოლო ნაწილი მონასტრამდე მისასვლელად, გამოიყენებს ფეხით სასიარულო ისტორიულ გზას.
- მონასტრამდე მისასვლელად, რეგულარული და კომფორტული საზოგადოებრივი

ტრანსპორტის განვითარება; ელექტრომანქანების ქსელის მოწყობა და მისი ინტეგრაცია სპეციალურ ტურისტულ მარშრუტებში, დამატებით შესაძლებლობებს შექმნის, რაც გარემოს დაცვასაც შეუწყობს ხელს.

2c. ბუფერულ ზონასთან დაკავშირებული კონკრეტული რეკომენდაციები

მართვის გეგმის პროექტის ერთ-ერთი ღირსებაა, ბუფერული ზონის არეალში არსებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ღირშესანიშნავი ადგილების სისტემური და ანალიტიკური აღრიცხვა (კულტურული მემკვიდრეობის რესურსების ინვენტარიზაცია), ასევე, პანორამული ლანდშაფტის ანალიზი. შეგროვებული მდიდარი მასალა ამტკიცებს, რომ გელათის მონასტერი და მისი ბუფერული ზონა ძალიან მართებულად არის წარმოდგენილი როგორც "ორგანულად განვითარებული კულტურული ლანდშაფტი" (გვ. 34). სასურველია, დამატებითი ნაბიჯების გადადგმა ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ძეგლების შენარჩუნების, წარმოჩინებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც ეს აღნიშნულია დოკუმენტის სამოქმედო ჩარჩოში.

Fig. 16. ხედი გელათის მონასტერსა და ხეობაზე წმინდა ნინოს სახელობის მონასტრის საყდრიდან

მისია მიიჩნევს, რომ მართვის გეგმის პროექტი არ შეიცავს საკმარისად დეტალურ ინფორმაციას <u>რეგიონისა და ადგილობრივად მიმდინარე ან დაგეგმილი განვითარების პროექტების</u> შესახებ, აგრეთვე, მათი გავლენის შესახებ ბუნებრივ გარემოზე და გელათის მონასტრის ფართო კონტექსტზე.

მართვის გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ „ამჟამად, მხოლოდ ორი ქვის კარიერი და რამოდენიმე ქვის გადამამუშავებელი საამქრო ფუნქციონირებს" (გვ. 48). საჭიროა უფრო დეტალური ინფორმაცია არსებული სამთო მოპოვების სამუშაოების გავრცელების, ინტენსივობისა და შესაძლო ზეგავლენის შესახებ; აგრეთვე, აუცილებელია მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება (Heritage Impact Assessment) დაგეგმილი განვითარების საქმიანობებისთვის, რამაც, შესაძლოა გავლენა მოახდინოს გელათის მონასტრის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეულ ღირებულებაზე (OUV).

<u>ტურიზმი</u>, როგორც სექტორი, განვითარების მზარდ პოტენციალს წარმოადგენს. რეგიონული ტურიზმის დეპარტამენტმა ხაზი გაუსვა, რომ მოცემულ ტერიტორიაზე ტურისტული ნაკადების მოძრაობა იზრდება და მიზნად ისახავს ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას. მისია აღნიშნავს, რომ ეს გამოიწვევს განვითარებასთან

დაკავშირებულ დამატებით ზემოქმედებას (რაც მოიცავს საკვების, ტურისტული საცხოვრებლებისა და ტრანსპორტის საჭიროებების ზრდას), რაც, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში, სათანადოდ უნდა იქნას განხილული. აუცილებელია ბუფერული ზონისთვის სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტაციის შედგენა, ტერიტორიის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას იმ ატრიბუტების დაცვა, რომლებიც გამოხატავს მონასტრის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეულ ღირებულებას (OUV). ამ თვალსაზრისით, დადებითია, რომ ბუფერული ზონის სივრცითი და ურბანული განვითარების გეგმისა და მშენებლობის დიზაინის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება მიმდინარე პროცესია. მისიის რეკომენდაციაა, რომ გამოყენებულ იქნას 2022 წლის ICOMOS-ის საერთაშორისო ქარტიაში წარმოდგენილი კულტურული მემკვიდრეობის ტურიზმის სახელმძღვანელო მითითებები.

ტურისტული მარშრუტები წარმოადგენს გარემოსდაცვითი განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების საშუალებას და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. დოხორას მთაზე უკვე არსებული სამონასტრო ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობაა. გელათისა და მოწამეთას მონასტრების დამაკავშირებელ ტურისტულ მარშრუტებს, რომელიც იყენებს არსებულ ისტორიულ გზებს და აკავშირებს ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებს, გააჩნია დიდი ტურისტული მნიშვნელობა.

ძეგლის გარშემო არსებული ტურისტული მარშრუტები შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს და ხელი შეუწყოს: (i) მომავალში, მონასტერში [ერთდრულად მიმავალ] ვიზიტორთა პოტენციურად დიდი რაოდენობის შემცირებას; (ii) ძეგლის გარშემო არსებული არეალების ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობისა და ბუნებრივი სილამაზის ხაზგასმას და მისი გაცნობის შესაძლებლობას უფრო მეტი ვიზიტორისთვის; (iii) ვიზიტორთა მოცემულ არეალში დარჩენის გახანგრძლივებას, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ ტურისტულ ინფრასტრუქტურას; (iv) ადგილობრივი ეკონომიკის კიდევ უფრო განვითარებას.

ტურისტული მარშრუტების განვითარება მოითხოვს შემდეგს: (i) ძეგლებთან მისასვლელი გზებისა და ავტომობილების დასაყენებელი ადგილების მდგომარეობის გაუმჯობესებას; (ii) ისტორიული ბილიკების აღდგენასა და მოვლას (საგზაო პირობების განახლება და შენარჩუნება, სიგნალიზაცია, ინფრასტრუქტურის მოწყობა დასასვენებელი პუნქტებით, პანორამული ხედვის ადგილებით, წყლის რესურსებით და ა.შ.); (iii) შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, რათა თავიდან ავიცილოთ ბუნებრივი გარემოსთვის მავნე ზემოქმედება (მაგ. ნარჩენების შესაგროვებელი ურნები და მათი დროული შეგროვება და გატანა); (iv) ვიზიტორებისთვის აუცილებელი სერვისების უზრუნველყოფას.

ამასთანავე, მისიის მიერ რეკომენდებულია, შესაბამისი გზამკვლევის შექმნა, რომელიც მოიცავს ყველა ძეგლსა და მათ მაკავშირებელ ისტორიულ ბილიკებს, ასევე ბუნების ღირშესანიშნავ ადგილებს, გადასახედ ადგილებს, ადგილობრივ ფაუნას და ფლორას, ასევე, რეკომენდებულ საცხოვრებელ ადგილებს და მათ სერვისებს.

3. განახლებული გენერალური გეგმის პროექტი

მისიის გუნდისთვის, კონცეფციის დონეზე გაზიარებული იყო ძეგლის განახლებული გენერალური გეგმის წინასწარული პროექტი, სადაც წარმოდგენილია ზოგიერთი მოსაზრება, ბერების საცხოვრებლის ახალ ადგილსა და აკადემიის შენობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

მისია მიიჩნევს, რომ განახლებული გენერალური გეგმა უნდა მოიცავდეს ძეგლის საერთო განვითარების საკითხებს, შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

- კომპლექსის გეგმარებითი სტრუქტურისა და სივრცული ხარისხის შენარჩუნება;
- ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულებებების ატრიბუტების დაცვა და წარმოჩენა;
- ბერების საცხოვრებელ და ლიტურგიულ საჭიროებებზე ზრუნვა (მათ შორის, მათთვის მშვიდი გარემოს, განმარტოებით ფიქრის შესაძლებლობის უზრუნველყოფა და ვიზიტორთა ნაკადების ზეწოლის თავიდან აცილება);
- მონასტერში რელიგიურ მსახურებებზე დასასწრებად მორწმუნეთა წვდომის უზრუნველყოფა და ვიზიტორთა რაოდენობის შესაძლო ზრდა, ტერიტორიაზე შეზღუდული მობილობის მქონე პირთათვის ტერიტორიაზე გადაადგილების უზრუნველყოფა;
- გენ. გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იყოს ყოვლისმომცველი შესწავლის შედეგად გაანალიზებული - უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნაშთები და ძეგლის ტერიტორიაზე მიმდინარე გეოფიზიკური კვლევებისა და მომავალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ნაშთები.

<u>დასკვნები და რეკომენდაციები</u>

მისია მიიჩნევს, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის თანამშრომლობა ძალიან შეზღუდულია, რაც ახდენს გავლენას ძეგლის მართვის ეფექტიანობაზე, მის ბუფერულ ზონასა და უფრო ფართო არეალის ფარგლებში. კერძოდ, მართვის გეგმის წარმატებული განხორციელება, როდესაც ის საბოლოოდ დამტკიცდება, დამოკიდებულია სხვადასხვა მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით, მთავრობის შესაბამის სექტორებსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ აღდგეს მჭიდრო კოორდინაცია და თანამშრომლობა დროებით კომიტეტსა და ეროვნულ სააგენტოს შორის: მონიტორინგისა და ზედამხედველობის ძირითადი ასპექტები, რაც უნდა განხორციელდეს რეაბილიტაციისა და რეაბილიტაციის შემდგომი სამუშაოების პერიოდში, არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კომპეტენცია მისი კანონით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში.

რაც შეეხება მართვის გეგმის პროექტს, მისია აღნიშნავს დროებითი დროის მოკლე პერიოდში კომიტეტის მიღწეულ შედეგს - მართვის გეგმის მაღალი ხარისხის დოკუმენტის შემუშავების მიმართულებით. მისია მიიჩნევს, რომ მართვის გეგმის პროექტის მეთოდოლოგიური მიდგომა და შესრულების სისრულე სამაგალითოა. მისიის შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დოკუმენტის შემდგომი დამუშავებისა და დასრულების შემდეგ, იგი შეიძლება გახდეს მართვის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულების გამომხატველი ატრიბუტების დაცვასა და გახდება მომავალი განვითარების საკითხების მართვის ინსტრუმენტი ძეგლსა და მის ბუფერულ ზონაში.

დასასრულს, განახლებული მართვის გეგმისა და ძეგლის განახლებული გენერალური გეგმის პროექტები უნდა გაიგზავნოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში ICOMOS-ის მხრიდან შეფასების მიზნით.

C. ადგილობრივი და ეროვნული დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის საკითხებზე

ძეგლის განახლებული მართვის გეგმის პროექტი წარმოადგენს ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე, არაერთი დაინტერესებული მხარის - გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის, სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის, გელათის სამონასტრო თემისა და ასევე, სხვა დაკავშირებული ეროვნული სააგენტოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგს. მისიის გუნდისა და დაინტერესებული მხარეების შეხვედრაზე, სადაც წარდგენილი იყო განახლებული მართვის გეგმის პროექტი, ხაზი გაესვა ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობაზე ზემოქმედების შემდეგ ძირითად ფაქტორებს: (i) ბუნებრივი გარემო პირობები (მაღალი ტენიანობა და ნესტი, ძლიერი ქარი და ტერიტორიის სეისმურობა); (ii) ტურიზმის პოტენციური ზემოქმედება; (iii) ხანძარი; და (iv) შეუსაბამო ახალი მშენებლობები.

2015-2018 წლებში, მთავარ ტაძარზე მოწყობილი ხარვეზიანი სახურავების ფონზე, რამაც გამოიწვია ტენიანობის შეღწევა და ისტორიული კედლის მხატვრობის დაზიანება და შემდგომი სარეაბილიტაციო პროგრამის გაუქმება, ძლიერი წვიმა ძლიერ ქართან ერთად ამჟამად შეშფოთების მთავარი მიზეზია. წყლის შეღწევა მთავარ ტაძარსა და წმინდა გიორგის ეკლესიაში, რომელიც 2024 წლის თებერვალში მოხდა ძლიერი წვიმის დროს, ასახავს გარემო პირობების რეალურ და პოტენციურ ზემოქმედებას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ძირითად ატრიბუტებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძეგლის კონსერვაციასა და მართვაში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაცია საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას, განსაკუთრებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტს შორის. მაშინ, როდესაც კომიტეტი ხელმძღვანელობს მონასტერში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სააგენტო პასუხისმგებელია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგსა და კონსერვაციის პროცესების ზედამხედველობაზე. თუმცა, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, რომლებიც აქტიურად არ არიან ჩართულები კონსერვაციის პროცესებში, როგორც ჩანს, შეზღუდული ინფორმაცია აქვთ ძეგლის ამჟამინდელ საკონსერვაციო მდგომარეობაზე. შედეგად, ამ მთავარი ეროვნული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლების ჩართულობა - მიმდინარე საკითხებისა და ძეგლის კონსერვაციის, დაცვისა და მართვის სამომავლო ნაბიჯების მიმართულებით, მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო. წინამდებარე ანგარიშის მე-12 რეკომენდაცია მიზნად ისახავს ამ საკითხის გადაწყვეტის შეთავაზებას.

ვიმედოვნებთ, რომ ძეგლის მართვის გეგმის განხორციელება, მას შემდეგ რაც ის დასრულდება, მისცემს შესაძლებლობას ყველა დაინტერესებულ მხარეს გააძლიეროს თანამშრომლობა და უფრო აქტიურად ჩაერთოს ძეგლის კონსერვაციისა და მისი მართვის გაუმჯობესებაში.

D. ჰოლისტიკური საკონსერვაციო პროგრამის განვითარება

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მხარემ, მისიის განხორციელებამდე წარამოადგინა გამოსასწორებელი ღონისძიებების ნუსხა, და 2023-2027 წლების საკონსერვაციო ქმედებების ინტეგრირებული გეგმა, ძეგლის დეტალური და ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული.

უნდა აღინიშნოს, რომ N45 COM 7B.54 გადაწყვეტილებით, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა სთხოვა სახელმწიფო მხარეს, „მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, მრჩეველი ორგანოების მხრიდან განხილვის მიზნით, წარედგინა კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამა, გეგმითა და საგზაო რუკით და განახლებული კონსერვაციის გენერალური გეგმა“. ეს წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ძეგლის რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოების გასაგრძელებლად, განსაკუთრებით, საკონსერვაციო სამუშაოების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებთან დაკავშირებით - მისიის ზემოაღნიშნული შეშფოთების გათვალისწინებით.

ყოვლისმომცველი კონსერვაციის პროექტი, რომელსაც ახლავს დეტალური სამოქმედო გეგმა და საგზაო რუკა, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა მოიცავდეს: მდგომარეობის შეფასებას, სამოქმედო პრიორიტეტებს, მეთოდოლოგიას, თანმიმდევრული ინტერვენციის ფაზებს და გამოსაყენებელი მასალების შერჩევას. ახალი სახურავის მოწყობის დროს, შესაფერისი მასალების შერჩევისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტატიკური და ფუნქციონალური (წვიმის წყლის ეფექტური მოცილება) მახასიათებლებისა და ძეგლის შუა საუკუნეების კონტექსტის გათვალისწინებას - კონსტრუქციის მორფოლოგიური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამა, ასევე, მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს, ვინ უხელმძღვანელებს და განახორციელებს სხვადასხვა ინტერვენციებს.

მეტიც, ამ კონტექსტში, მისიას სურს გაიმეოროს 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მე-10 რეკომენდაცია: გელათში, საჭირო გრძელვადიანი კონსერვაციისა და მონიტორინგის ღონისძიებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია ჩაერთოს მეტი ქართველი კონსერვატორი (და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებები), რათა უზრუნველყოფილ იქნას განხორციელებული ღონისძიებების გრძელვადიანი მდგრადობა. მისია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

სახელმწიფო მხარისთვის საკონსულტაციო დახმარების ფარგლებში განხორციელებულმა 2022 წლის მისიამ, თავის ანგარიშში შეიმუშავა პრაქტიკული გზამკვლევი - ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულებების გამომხატველი ატრიბუტების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგის ინდიკატორების თაობაზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო მხარის მიერ ჰოლისტიკური საკონსერვაციო პროგრამის მოსამზადებლად. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის ბოლო სვეტში მოცემულია თითოეული ინდიკატორისთვის განხორციელებული ქმედებების თაობაზე მისიის შეფასება.

1. ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი		
1.1. ერთიანი გეგმა	ტაძრის კონსერვაციის ერთიანი გეგმის შემუშავება, დაუყოვნებელი და გრძელვადიანი ქმედებებით, მკაფიო პასუხისმგებლობებით, დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.	მიმდინარეობს. მისი ზოგადი ნაწილი განისაზღვრა სამუშაო გუნდების ქმედებებისა და ვადების მიხედვით. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამის საჭიროებიდან გამომდინარე, ის უნდა იყოს ყოვლისმომცველი და დეტალური, როგორც შემდგომი საკონსერვაციო სამუშაოებისთვის საყრდენი დოკუმენტი.
1.2. დამცავი გადახურვა	ძეგლის ერთიანი დამცავი საფარის მოწყობის პროექტის დაუყოვნებლივი განხორციელება	ამ სამუშაოების პირველი ფაზა დასრულებულია, რაც გულისხმობს გუმბათქვეშა გარე საფარის სტრქუტურის მოწყობას. მეორე ფაზა, რომელიც გუმბათის საფარის სტრუქტურის მოწყობას გულისხმობს, დასრულდება 2024 წლის დეკემბრის ბოლოს.
1.3. სახურვავის კრამიტის ახდა და მის ქვეშ არსებული გაფხვიერებული მასალის ამოღება	ერთიანი დამცავი საფარის მოწყობისა და არსებული კრამიტის მოხსნის შემდეგ, სახურავის ქვეშ არსებული შემავსებელი კონგლომერატის ამოღება, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სახურავიდან ნესტის აორთქლებას	განხორციელებულია ნაწილობრივ და მხოლოდ დასავლეთ მკლავზე, მისი დროებითი დამცავი სახურავის ქვეშ. შემდგომი ქმედებები დაგეგმილია 2025 წლის დასაწყისიდან, მთლიანი დამცავი საფარის მოწყობის დასრულების შემდეგ
1.4. კედლის მხატვრობის ანალიზები	კედლის მხატვრობის ანალიზების დასრულება მხატვრობის ტექნიკების დასადგენად	სამეცნიერო კვლევები მალე დასრულდება. შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს ყველა შედეგის გაანალიზება-შედარება და ინტერვენციების მიზნით, მეთოდოლოგიებისა და გამოსაყენებელი მასალების წინადადებები
1.5. მისაწვდომობა და უსაფრთხოება	უსაფრთხო ხარაჩოების ტაძრის ინტერიერის ყველა მონაკვეთთან მიყვანა და შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს წვდომას ყველა ზედა არეალთან.	ინტერიერში მოწყობილი ხარაჩოები იძლევა სრულ წვდომას ყველა ზედა ნაწილთან და აფსიდში - კედლის მხატვრობისა და მოზაიკის ყველა არეალთან, გარდა გუმბათის ქვეშ არსებული სივრცისა, სადაც ხის ფიცრები ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი.

1.6. დოკუმენტაცია და მდგომარეობის შეფასება	ტაძრის ინტერიერში წარმოდგენილი კედლის მხატვრობისა და აღმოსავლეთის მკლავში - მოზაიკის საკონსერვაციო მდგომარეობის და პათოლოგიის საფუძვლიანი და დეტალური შესწავლა და დაზიანებათა რუკის მომზადება	მიმდინარეობს. მუშაობა გრძელდება საკონსერვაციო მდგომარეობისა და კედლის მხატვრობის პათოლოგიების დეტალურ დოკუმენტაციაზე. საჭიროა დაიწყოს კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მდგომარეობის შეფასების შედეგების შედარება ფასადზე ქვისა და წყლის გადაყვანის სისტემის პრობლემებთან. ამავდროულად, საჭიროა, ყველაზე მეტად საფთხეში მყოფი კედლის მხატვრობის ნაწილების გადაუდებელი სტაბილიზაცია.
1.7. კედლის მხატვრობის პერიოდული მონიტორინგი	კედლის მხატვრობის პერიოდული მონიტორინგის გაგრძელება, რათა გამოვლინდეს ის ადგილები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელი სტაბილიზაციის ღონისძიებებს	იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამუშაოებზე პასუხისმგებელმა რესტავრატორებმა იციან, სად არის საჭირო გადაუდებელი სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარება, მისიის დროს არ იყო წარმოდგენილი და განხილული რაიმე კონკრეტული სამუშაო გეგმა ასეთი გადაუდებელი ქმედებებისთვის. საჭიროა გარე ფასადის ზედაპირების დაზიანებათა რუკის შედგენა, ასევე, გარე და შიდა დაზიანებებსა და ფენომენს შორის შესაძლო კავშირების შესწავლა
	კედლებში და კედლის მხატვრობის ზედაპირზე ტენიანობის შემცველობის დინამიკის პერიოდული შეფასება	უნდა შემუშავდეს გარემო ფაქტორების მონიტორინგით გამყარებული შენარჩუნების გეგმა
1.8. რისკის ქვეშ მყოფი კედლის მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო ჩარევები	ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ზედაპირული მარილების მოშორება, საფუძველს მოშორებული მხატვრობის ფენის ფიქსაცია და დეგრადირებული ბათქაშის კონსოლიდაცია; განხორციელებული ჩარევების სრულყოფილი და დეტალური დოკუმენტაციის შემუშავება	მიმდინარეობს, თუმცა გადაუდებელი ჩარევებისთვის მკაფიო გეგმა არ ყოფილა წარმოდგენილი ან განხილული

1.9. შენობის სტრუქტურული მდგრადობის მონიტორინგი	ძეგლის მდგომარეობისა და სტრუქტურული მდგრადობის კვლევის განხორციელება; განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით მის ზედა ნაწილებზე.	სტრუქტურული მონიტორინგის სისტემა 2023 წლის ნოემბერში დამონტაჟდა მთავარ ტაძარში შერჩეულ მნიშვნელოვან წერტილებში. სტრუქტურული კვლევების პირველი პერიოდული ანგარიში სრულდება.
	მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, სტრუქტურული კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელება	სტრუქტურული კვლევის საფუძველზე, ამ ეტაპზე, საკონსერვაციო ჩარევები არ არის გათვალისწინებული.
	გუმბათზე დამონტაჟებული ელექტრონული საზომი სისტემის (მეხამრიდი) რეგულარული შემოწმების უზრუნველყოფა	ინტერიერში მოწყობილ ხარაჩო ჯერ არ ასულა გუმბათამდე, რაც მდგომარეობის შეფასების საშუალებას მისცემდა
	მიკრომოძრაობების გრძელვადიანი 3D კვლევა შენობის წყობის ჯვარედინ მკლავებზე	ამჟამად მოსამზადებელი ეტაპი მიმდინარეობს. მისია რეკომენდაციას უწევს დამატებით, კრიტიკულ წერტილებზე ავტომატური სტატიკური მონიტორინგის სისტემის ერთეულების დამონტაჟებას, რათა მომზადდეს ყოვლისმომცველი ანგარიში მთავარი ტაძრის გრძელვადიანი მონიტორინგისა და ქვის წყობის ქცევის აღრიცხვის მიზნით.
	ტაძრის ფასადის ქვის წყობის ნაკერებისა და სრულიად დატეხილი/ნაკლული მონაკვეთების შევსება ბუნებრივი ჰიდრავლიკური კირხსნარით	კვლევების დასკვნების და საკონსერვაციო პროექტის მომზადება განხორციელდება 2025 წელს. მისიის გუნდი რეკომენდაციას უწევს ქვის კონსერვაციის პროგრამის განხორციელებას ორ ეტაპად: ყოვლისმომცველი წინასაკონსერვაციო კვლევა (სამშენებლო მასალების მდგომარეობის ზოგადი შეფასება), რასაც მოჰყვება საკონსერვაციო სამუშაოები (სხვა მოქმედებებთან ერთად, ფასადის ქვებისა და შემავსებელი კირის კონსოლიდაცია/რეკონსტრუქცია და ქვის აქერცლილი და განშრევებული ზედაპირების კირხსნარით მიკრო-შევსებები).

1.10. მიკროკლიმატის მონიტორინგი და მდგომარეობის სტაბილიზაცია	ალესანდრო მასარის შემოთავაზების „სტრუქტურული ჰიგირომეტრიული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის კვლევების“ (2021-2022) გათვალისწინება	მიკროკლიმატის მონიტორინგი 2020 წლის დეკემბრიდან მიმდინარეობს; სტრუქტურული ჰიგირომეტრიული გამოკვლევა მარილის კვლევასთან კორელაციაში გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით განხორციელდა 2024 წელს და საჭიროების შემთხვევაში გაგრძელდება.
	შესასვლელებში დამატებითი დროებითი ორმაგი ხის კარების (ქარის ბარიერები) მოწყობა, და ზოგიერთი ფანჯრის დახურვა, რათა შემცირდეს ჰაერის მიმოქცევა ეკლესიაში, რამაც კედლის მხატვრობიდან აორთქლება უნდა შეამციროს	აქამდე პრიორიტეტი ენიჭებოდა მარილის კვლევას არსებული გარემოს შეცვლის თავიდან აცილების მიზნით. 2024 წლის ნოემბრისთვის დასრულებული კვლევების დასკვნები აჩვენებს, არსებულ გარემოში ცვლილებები იქნება თუ არა სასურველი.

2. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი		
2.1. ყოვლისმომცველი გეგმა	ეკლესიის კონსერვაციის ერთიანი გეგმის შემუშავება, დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად.	პირველ ეტაპზე დასრულდა ინტერიერისა და ექსტერიერის დრონით 3D ლაზერული სკანირება და ყოვლისმომცველი კვლევა. დაზიანებათა დეტალური რუკის შედგენა ჯერ მიმდინარეობს. ერთიანი გეგმის მომზადებამდე, სხვადასხვა კვლევების დასკვნები უნდა იყოს შეჯამებული, რუკებზე ცხადად დატანილი და დეტალურად განხილული.
2.2. ფასადის საკონსერვაციო ჩარევები	ეკლესიის ფასადის ნაკერებისა და ქვის მთლიანად დატეხილი/დაკარგული მონაკვეთების ბუნებრივი ჰიდრავლიკური კირხსნარის გამოყენებით შევსება	განხორციელება ჯერ არ დაწყებულა. რეკომენდირებულია მინერალური კონსოლიდანტებისა და ხსნარით მიკრო-შევსებების განხორციელება ქვის დაშლილ და გაფხვიერებულ მონაკვეთებზე
2.3. მოკლე ვადიანი ქმედებები	ReStruere-ს მიერ, 2022 წლის 28 სექტემბრის დისტანციურ შეხვედრაზე მომზადებული რეკომენდაციების: "დიზაინის შესამუშავებლად შეფასების გახორციელება" (Assessment-for-design Actions) და “მოკლევადიანი ქმედებები წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში”, გათვალისწინება	განხორციელება ჯერ არ დაწყებულა
2.4. მდგომარეობის შეფასება, დაზიანებათა რუკა, დოკუმენტაცია	კედლის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და დაზიანებათა რუკის შედგენა	განხორციელება ჯერ არ დაწყებულა
2.5. სტაბილიზაციის გადაუდებელი ქმედებები	სტაბილიზაციის გადაუდებელი პროცედურების ჩატარება კედლის მხატვრობისთვის, როგორც ამას მოითხოვს შეფასება და მონიტორინგი (და ასევე, ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობის თაობაზე გაცემული რეკომენდაციები)	განხორციელება ჯერ არ დაწყებულა

3. წყლის სადრენაჟო სისტემა		
3.1. ძეგლზე წყლის სადრენაჟო სისტემის მოწყობის დასრულება და მონიტორინგი	სახურავებზე, სადრენაჟო სისტემაზე, წყლის ჩამოსადენ მილებსა და მთელი სახურავის სტრუქტურაზე პერიოდული მონიტორინგისა და დოკუმენტირების განხორციელება.	მიმდინარეობს. საგანგებო ღონისძიებები განხორციელდა 2024 წლის თებერვლის ძლიერი შტორმის შედეგად. დოკუმენტაცია და რუკის შედგენა ჯერ კიდევ დასრულებული არ არის
	მონასტრის ეზოს სხვა ნაწილებში წყალგადამყვანი სისტემის გაფართოების საჭიროების განხილვა-გათვალისწინება	განხორციელება ჯერ არ დაწყებულა
	მონასტრის ეზოში არსებული წყალგადამყვანი მთლიანი სისტემის მუდმივი მონიტორინგის უზრუნველყოფა	მიმდინარეობს
4. გელათის მონასტრის ტერიტორია		
4.1. მონასტრის ეზოში შემონადენი გრუნტისქვეშა წყლები	გეოტექნიკური კვლევის განხორციელება და გრუნტისქვეშა წყლის ნაკადების - კომპლექსის კედლის გარეთ გადაყვანის შესაძლებლობის გათვალისწინება	მიმდინარეობს
4.2. ვიზიტორთა ნაკადების მართვა	ვიზიტორთა ცენტრის გამოყენების ოპერაციული გეგმის შემუშავება	არ დაწყებულა
4.3. რელიგიური მსახურების ხელშეწყობა	სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, მომავალში, ვიზიტორთა ნაკადების ზრდის ზემოქმედების საპასუხოდ, გეგმების შემუშავება	არ დაწყებულა.
4.4. რისკისთვის მზადება	რისკითვის მზადების პროგრამის საჭიროებისა და მოცულობის შესწავლა	მიმდინარეობს
4.5. მართვის გეგმა	ძეგლის მართვის გეგმის გადახედვა და დასრულება	მიმდინარეობს

5. კომუნიკაცია		
5.1. დაინტერესებულ მხარეებს შორის უფრო მჭიდრო დიალოგი	ადგილზე მომუშავე ყველა გუნდს შორის გამართული კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რომ კომპლექსი განიხილებოდეს ერთიან სისტემად და გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ერთობლივად.	ადგილზე მომუშავე ყველა გუნდს შორის გამართული კოორდინაცია და კომუნიკაცია არის დაფუძნებული. დროებითი კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში, გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება ერთობლივად.
	ძეგლის დაცვის ღონისძიებების საკითხებზე, გაგრძელდეს ხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო დიალოგი, მათ შორის, მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მეშვეობით - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან	მიღწეულია მჭიდრო დიალოგი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძეგლზე განხორციელებელ დაცვის ზომებთან დაკავშირებით. თუმცა, დროებით კომიტეტსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის დიალოგი ჯერჯერობით პრობლემატურია.
6. უნარების ამაღლება		
6.1. უნარების ამაღლების საჭიროებების შეფასება	გელათის კონსერვაციის გრძელვადიან პროექტში, ქართველი კონსერვატორი პროფესიონალების ჩართულობის გაძლიერების საჭიროების შეფასება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქმედებების მდგრადობა და ძეგლის მართვა.	კონსერვაციის პროგრამის ადგილობრივი ხელმძღვანელები, საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, რეგულარულად აწყობენ სხვადასხვა თემატურ ვორქშოფებს. კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამა გააჩენს შესაძლებლობას გაგრძელდეს ქართველი კონსერვატორი პროფესიონალების უნარების ამაღლება

V. დასკვნები და რეკომენდაციები

დაცვა და მართვა

2022 წლის საკონსულტაციო მისიის შემდეგ, სარეაბილიტაციო სამუშაოების მართვაში მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა: საქართველოს საპატრიარქომ - მონასტრის მფლობელმა - მიიღო სახელმწიფოს შეთავაზება სრულად წარმართოს ეს სამუშაოები. ამ მიზნით, 2023 წლის თებერვალში, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ და საპატრიარქომ ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვითაც სამინისტროს როლი შემოიფარგლა სამუშაოების ფინანსური მხარდაჭერითა და „პროცესში კანონით დადგენილი წესით ჩართულობით". რეალურად, რეაქტიული მონიტორინგის მისიამ აღმოაჩინა სამინისტროს შეზღუდული ჩართულობა და შეზღუდული ინფორმირებულობაც კი მიმდინარე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ. მთელი მისიის განმავლობაში მისიის გუნდი თითქმის ექსკლუზიურად ურთიერთქმედებდა საპატრიარქოს მიერ, სამუშაოების წარმართვის მიზნით შექმნილ გელათის რეაბილიტაციის დროებით კომიტეტთან, რომელიც სწორი მიმართულებით მიდის. მისიის გუნდს მხოლოდ ერთსაათიანი შეხვედრა ჰქონდა სამინისტროს წარმომადგენლებთან, მათ შორის, კონვენციის განხორციელების ანგარიშგების ეროვნულ საკონტაქტო პირთან (National Focal Point).

მისია, მთლიანი ძეგლისა და მისი ბუფერული ზონის გრძელვადიანი დაცვისა და მართვისთვის, დროებით კომიტეტსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის მჭიდრო კოორდინაციასა და თანამშრომლობას არსებითად მიიჩნევს.

მისიისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის მოსმენა, რომ გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი თავის ყველა ქმედებაში ხელმძღვანელობს 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებითა და ICOMOS-ის შესაბამისი ტექნიკური დასკვნებით. ეს ასევე, შეიძლება დადგინდეს ადგილზეც.

დროებით კომიტეტს ჰყავს ორი სათათბირო ორგანო - ეროვნული სამეცნიერო საბჭო და საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო - რომელიც ეხმარება მას გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, კომიტეტის გუნდის შემადგენლობაშია კონვენციის აღსრულების ყოფილი ეროვნული საკონტაქტო პირი, რომელსაც კულტურის სამინისტროში მუშაობის დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს, რაც ეხმარება მის მუშაობაში. თუმცა, ორ სათათბირო ორგანოს შორის კოორდინაცია საჭიროებს შემდგომ გაძლიერებას.

მისიის ერთ-ერთი საკვანძო დასკვნა და რეკომენდაციაა, რომ პრიორიტეტულად შემუშავდეს ყოვლისმომცველი კონსერვაციის პროგრამა, შესაბამისი გეგმითა და საგზაო რუკით და მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისთვის მიწოდება - მრჩეველი ორგანოების მხრიდან შეფასების მიღების მიზნით. ეს დოკუმენტი, მკაფიო მიზნებითა და ვადებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ძეგლზე რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოების გაგრძელებისთვის.

მართვის გეგმის განახლება დროებითი კომიტეტის მნიშვნელოვანი მიღწევაა. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის N 45 COM 7B.54 გადაწყვეტილების შესაბამისად, იგი შეიცავს ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულებების (OUV) გამომხატველი ატრიბუტების მონიტორინგის ინდიკატორებს. მართვის გეგმის განახლება განხორციელდა მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა შესაბამის ეროვნულ სააგენტოებს, რეგიონალურ ადმინისტრაციას და ადგილობრივ თვითმმართველობებს, ასევე ადგილობრივ თემებს. მართვის გეგმას სჭირდება დამატებითი გადამუშავება, -

ბუფერულ ზონაში მიმდინარე ან დაგეგმილი მასშტაბური პროექტების კრიტიკული გააზრების კუთხით - ძეგლის OUV-ის ატრიბუტებზე მათი პოტენციური ზეგავლენის გამოსავლენად; ამასთან, "მემკვიდრეობაზე ზეგავლენის შეფასება" (Heritage Impact Assessments) უნდა იყოს გათვალისწინებული ნებისმიერი შესაძლო ზეგავლენის შესაფასებლად. გეგმის გადამუშავების შემდეგ, როგორც ეს მოცემულ ანგარიშშია მითითებული, ის გახდება ძეგლის ყოვლისმომცველი მართვის - საიმედო საყრდენი დოკუმენტი.

ბუფერულ ზონაში, ანალიტიკურად აღნუსხული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები და ბუნებრივი სილამაზის ადგილები უფრო ეფექტურად უნდა იყოს დაცული სისტემატიური მოვლისა და განახლების პროექტში ინტეგრირებით, რათა მათი ღირებულებები ხელმისაწვდომი და აღქმადი იყოს მნახველისთვის. ძეგლის ირგვლივ ტურისტული ბილიკების განვითარება ხელს შეუწყობს ვიზიტორთა მხრიდან გელათის მონასტერსა და მის გარშემო არსებულ ფართო არეალს შორის ჰარმონიული კავშირების გააზრებასა და აღქმას. უფრო მეტიც, ადგილობრივ თემთან მჭიდრო თანამშრომლობა უნდა გაგრძელდეს, რათა ხელი შეეწყოს მათ წვლილს ძეგლის გამორჩეულ ზოგადსაკაცობრიო ღირებულების შენარჩუნებაში და ასევე, ინტერესის გაძლიერებას რეგიონის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებით

განხორციელებული საკონსერვაციო ღონისძიებები

რეაბილიტაციის სამუშაოებში მნიშვნელოვანი მიღწევაა მთავარი ტაძრისთვის, გუმბათის ჩათვლით, ერთიანი დამცავი საფარის მოწყობა, რომელიც შეესაბამება 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებს და პროექტის თაობაზე ICOMOS-ის ტექნიკურ შეფასებას. იგი უნდა დასრულდეს 2024 წლის ბოლოს, რაც უახლოეს პერიოდში, დაზიანებული მოჭიქული კრამიტის სახურავის მოხსნისა და მის ქვეშ არსებული ფენის ამოღების შესაძლებლობას გააჩენს, ასევე, ახალი სახურავის მოწყობამდე, ხელს შეუწყობს ნალექების პროგრესულ აორთქლებას გარე მიმართულებით. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტიტეტის N45 COM 7B.54 გადაწყვეტილებით, უკვე მოთხოვნილია, რომ სახელმწიფო მხარემ, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში - მრჩეველი ორგანოების მხრიდან შესაფასებლად წარადგინოს მუდმივი გადახურვის მოწყობის პროექტი და დეტალები. ეს იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

გარდა ამისა, როგორც აღნიშნულია 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციაში, მთელ ტაძარში აშენდა გაფართოებული მზიდი ხარაჩოს უსაფრთხო კონსტრუქცია, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს და მონიტორინგი ჩატარდეს კედლის მხატვრობის ყველა ზედა ნაწილზე, აგრეთვე, აფსიდში წარმოდგენილ მოზაიკაზე.

მისია აღნიშნავს, რომ მთავარ ტაძარში კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისა და არაინვაზიური კვლევების მიმართულებით, მნიშვნელოვანი პროგრესია მიღწეულია. დღემდე წარმოებული სამუშაოს მაღალი ხარისხი და მეცნიერული დონე, თანამშრომლობის წარმატებული მაგალითია, რაც ასევე ხელს უწყობს ქართველი კონსერვატორების შესაძლებლობების გაზრდას. ეს კვლევები ქმნის გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავების განვითარებისა და ეტაპობრივი განხორციელების საფუძველს.

ყველა კვლევის დასკვნა (მხატვრობის ტექნიკის, მარილების არსებობის, გარემოსდაცვითი გაზომვების და ა.შ.) უნდა გაერთიანდეს კონსერვაციის ერთიან პროგრამაში, რომლის

შემუშავება პრიორიტეტულია. პარალელურად, უნდა განხორციელდეს მდგომარეობის გამოსასწორებელი ჩარევების პროგრამა, რომელიც დაწყებულია და რომელიც მოიცავს კრიტიკული უბნების გადაუდებელ სტაბილიზაცია/დამუშავებას, ზოგადი სტაბილიზაციის მკურნალობის შემუშავებას და სპეციალიზებული მკურნალობის იდენტიფიკაცია/შემუშავებას. მისია შეშფოთებულია, რომ აქამდე, გამოსასწორებელი ჩარევები არ მოიცავდა კედლის მხატვრობის იმ ნაწილებს, რომლებიც დამუშავებული იყო წინა ინტერვენციის დროს და შეფასებული იყო 2022 წლის საკონსულტაციო მისიის მიერ. გადაუდებელი ჩარევები უნდა განხორციელდეს ყველა - ადრე დამუშავებულ თუ დაუმუშავებელ მონაკვეთებზე, სადაც საღებავის ფენის აქერცვლა ან/და ნალესობის ფენების დაშლა და აქერცვლა ფიქსირდება, რაც ამჟამად ძალიან მნიშვნელოვან დეკორატიულ ელემენტებს დაკარგვის სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ინტერვენციები უნდა განხორციელდეს მინერალური კონსოლიდანტების გამოყენებით, რათა შენარჩუნდეს ზედაპირების ფორიანობა, გამომარილების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც ჯერ კიდევ აქტიურია ზედაპირებზე.

დროებითმა კომიტეტმა, ასევე, დაიწყო მოზაიკის დაცვის ჰოლისტიკური პროგრამა მთავარ ეკლესიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მოზაიკის კონსერვატორი იტალიიდან, რობერტო ნარდი და მისი მაღალკვალიფიციური გუნდი რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრიდან. ძალიან შემაშფოთებელია, რომ ტაძრის აფსიდში წარმოდგენილი მე-12 საუკუნის გამორჩეული მოზაიკის საკონსერვაციო მდგომარეობის მიმდინარე კვლევამ დაადასტურა, რომ მისი დაახლოებით 85% კედლიდან არის მოცილებული და შესაძლოა ჩამოშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. კვლევები 2025 წლის აპრილისთვის დასრულდება და მოზაიკის დეტალური კონსერვაციის გეგმის მომზადების საფუძველი გახდება.

გარდა ამისა, მიმდინარეობს მთავარი ტაძრის სტრუქტურული შესწავლა და მონასტრის პერიმეტრის გარშემო გეოლოგიური ბურღვითი კვლევები, რაც დასრულების შემდეგ, ხელს შეუწყობს წყლის სადრენაჟო პროექტის შემდგომ შემუშავებას.

მისასალმებელია, რომ დროებითი კომიტეტი სისტემატურად ამზადებს დეტალურ დოკუმენტაციას სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, ყველა ინტერვენციის, მონიტორინგისა და მდგომარეობის შესწავლის ჩათვლით, და აქვეყნებს მას სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.gelatirehabilitation.ge), რათა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს და ფართო საზოგადოებას მისცეს ინფორმაციის მიღების საშუალება მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობა

ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობაზე კვლავ მოქმედებს წინა არქიტექტურულ-სარესტავრაციო პროექტის თითქმის სრული წარუმატებლობა მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგებით, კერძოდ, 2015-2018 წლებში დამონტაჟებული სახურავების ნაკლოვანებები, რამაც გამოიწვია ტენიანობის შეღწევა და მასთან დაკავშირებული მთავარი ტაძრისა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შიგნით არსებული ისტორიული კედლის მხატვრობის დაზიანება. მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები ხორციელდება 2022 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციების შესაბამისად, პროგრესი მიღწეულია გარკვეულ სფეროებში, როგორც ეს მოცემულია ზემოთ ცხრილში, ხოლო გარკვეული საკითხები კვლავ გასათვალისწინებელია. საერთო ჯამში, ძირითადი გამოწვევები, განსაკუთრებით, კედლის

მხატვრობის მიმართულებით, რომელიც ზოგიერთ არეალში განაგრძობს დეგრადირებას, კვლავ რჩება. ეს გამოწვევები, ასევე, აქტუალურია მოზაიკის გადარჩენის პროგრამასთან მიმართებაში. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პრიორიტეტს მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენს, წმინდა გიორგის ეკლესიას ჯერჯერობით სათანადო ყურადრება ვერ ექცევა.

კონსერვაციის არსებული გამოწვევების - მათ შორის, ტაძრების მოხატულობის მყიფე მდგომარეობისა და ძეგლის ზოგად მართვაში წარმოქმნილი სირთულეების გათვალისწინებით, რეკომენდებულია მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მოსთხოვოს მონაწილე სახელმწიფოს ძეგლზე რეაქტიული მონიტორინგის მისიის 2026 წლის განმავლობაში მოწვევა - განხორციელებული საკონსერვაციო ძალისხმევის შესაბამისობის შესაფასებლად, ჰოლისტიკური კონსერვაციის პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების, მართვის გეგმის განხორციელების, მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯებისა და ძეგლის ყოვლისმომცველი საკონსერვაციო მდგომარეობის შესაფასების მიზნით.

VI. დანართები

დანართი I: მისიის ტექნიკური დავალება

„გელათის მონასტრის" მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე (საქართველო)
მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი
რეაქტიული მონიტორინგის მისიის
ტექნიკური დავალება
(2024 წლის 23-27 სექტემბერი)

I. რეაქტიული მონიტორინგის მისიის მიზანი

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა თავის 45 COM 7B.54 (რიადი, 2023) გადაწყვეტილებაში სახელმწიფო მხარეს სთხოვა, „გელათის მონასტრის" მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე მოეწვია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისია, რათა შეეფასებინა არსებული საკონსერვაციო სისტემა და მის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები, ასევე, ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობა. ამავე გადაწყვეტილებით, კომიტეტმა მხარი დაუჭირა 2022 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებს და მოითხოვა, რომ სახელმწიფო მხარემ გაითვალისწინოს ისინი ძეგლზე საკონსერვაციო გამოწვევების დაძლევის პროგრამის განხორციელების პროცესში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მისიამ უნდა განახორციელოს:

1. განხორციელებული საკონსერვაციო ზომებისა და ჰოლისტიკური საკონსერვაციო პროგრამის განვითარებისა და განხორციელების შეფასება, საკონსერვაციო გენერალური გეგმისა და საგზაო რუკის ჩათვლით;
2. მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შეფასება, მათ შორის, მართვის გეგმის განახლების საკითხების განხილვა;
3. ადგილობრივ და ეროვნულ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობასთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების მოსასმენად.
4. ძეგლის საერთო საკონსერვაციო მდგომარეობის ანალიზი და იმ ფაქტორებისა და საკონსერვაციო საკითხების განხილვა, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეულ ღირებულებებზე (OUV), მათ შორის, ძეგლის მთლიანობის, დაცვის, მართვისა და მონიტორინგის სისტემის მდგომარეობის შეფასება;
5. ვიზიტის ფარგლებში აღნუსხულ ყველა სხვა დაკავშირებულ საკითხზე ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადება;
6. ძეგლის მონიტორინგის, დაცვის, კონსერვაციისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისთვის რეკომენდაციების მომზადება.

II. რეაქტიული მონიტორინგის მისიის ორგანიზება

სახელმწიფო მხარემ, თავისი კომპეტენტური უწყებების მეშვეობით, უნდა უზრუნველყოს მისიისთვის ყველა შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება, რაც საშუალებას მისცემს მას განიხილოს და შეაფასოს ზემოაღნიშნულ - პირველიდან მეექვსეს ჩათვლით - პარაგრაფებში ჩამოთვლილი საკითხები; ასევე, უზრუნველყოს მისიის ვიზიტები ადგილზე ძეგლის მდგომარეობის ყოვლისმომცველი შეფასებისთვის; იმ

შემთხვევაში, თუ მისიის მიერ ვიზიტის დროს დამატებითი ინფორმაცია იქნა მოთხოვნილი, სახელმწიფო მხარემ, აღნიშნული მასალა უნდა წარადგინოს - მისიის დასრულებიდან არაუგვიანეს ორი კვირის განმავლობაში.

სახელმწიფო მხარემ უნდა უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეებთან, საჭირო კონსულტაციებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მათ შორის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე მოქმედ სახელმწიფო უწყებებთან, ძეგლის მართვის ორგანოსთან, ეროვნულ და საერთაშორისო ექსპერტებთან, რომლებიც მუშაობენ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე, და სხვა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან, აგრეთვე ხელი შეუწყოს ძეგლის ყოვლისმომცველ ინსპექტირებას.

მისიის მომზადების ხელშესაწყობად, სახელმწიფო მხარემ უნდა ითანამშრომლოს მსოფლიოს მემკვიდრეობის ცენტრთან, ICOMOS-თან და ICCROM-თან მისიის დეტალური პროგრამისა და იმ პირებისა და ინსტიტუტების სიის მომზადებაში, რომლებთანაც მისია გამართავს შეხვედრებს. აღნიშნული დოკუმენტები უნდა იქნას წარდგენილი პროექტის სახით მსოფლიოს მემკვიდრეობის ცენტრში განხილვისათვის, რაც შეიძლება დროულად, არაუგვიანეს 2024 წლის 2 სექტემბრისა.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრში, რაც შეიძლება დროულად, მისიის განხორციელებამდე არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში, შემდეგი დოკუმენტაცია უნდა იყოს წარდგენილი:

- 2022 წლის საკონსულტაციო მისიის შემდგომ განახლებული დეტალური ანგარიში
- მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მიღებული N 45 COM 7B.54-ის აღსრულების მიმართულებით მიღწეული პროგრესის შესახებ ინფორმაცია

დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, UNESCO-ს, ICOMOS-ისა და ICCROM-ის ექსპერტები არ ისაუბრებენ მედიასთან და არ განიხილავენ მისიის შედეგებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა იქნას წარდგენილი მხოლოდ მისიის საბოლოო ანგარიშში

III. ანგარიშის წარდგენა

მისიის დასრულების შემდეგ, მისიის ტექნიკური დავალების შესაბამისად, მსოფლიოს მემკვიდრეობის ცენტრი, ICOMOS-ი და ICCROM-ი მოამზადებენ მოკლე ანგარიშს, მსოფლიოს მემკვიდრეობის კომიტეტის 47-ე სესიაზე განსახილველად. მისიის ანგარიში მომზადება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და მრჩეველი ორგანოების მიერ შემუშავებული “რეაქტიული მონიტორინგის მისიის ანგარიშის ფორმატის” მიხედვით. საბოლოო დასრულებამდე, ანგარიში, ელექტრონულ ფორმატში გაიგზავნება სახელმწიფო მხარესთან - შესაძლო ფაქტობრივი შეცდომების გადასამოწმებლად.

დანართი II: მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილება

<u>გადაწყვეტილება</u>: 45 COM 7B.54

გელათის მონასტერი (საქართველო)

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა,

1. <u>შეამოწმა დოკუმენტი</u> WHC/23/45.COM/7B.Add.2,

2<u>. და გაითვალისწინა</u> 44-ე გაფართოებულ სესიაზე (ფუჟოუ/ონლაინ, 2021 წ.) მიღებული გადაწყვეტილება 44 COM 7B.47

3<u>. აფასებს</u> სახელმწიფო მხარის ეფექტურ ქმედებებს, რომლითაც იგი ცდილობდა გამოესწორებინა 2015-2018 წლებში ღვთისმშობლის შობის ტაძარში და წმინდა გიორგის ეკლესიაში დამონტაჟებული სახურავების ხარვეზები და თავიდან აეცილებინა ისტორიული ფრესკების შემდგომი დაზიანება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და საკონსულტაციო ორგანოებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, აგრეთვე, მსოფლიო მემკვიდრეობის ერთობლივი ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის მრჩეველთა მისიის დროული ორგანიზებისა და ხელშეწყობის მიზნით, რათა უზრუნველყოს რეკომენდაციები ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადასაჭრელად;

4. <u>მხარს უჭერს</u> 2022 წლის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციებს ძეგლთან დაკავშირებით და სთხოვს მონაწილე სახელმწიფოს დაიცვას ისინი ობიექტზე არსებული კონსერვაციის გამოწვევების აღმოსაფხვრელად და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მიერ განსახილველად წარუდგინოს დოკუმენტაცია შემდგომი გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების, აგრეთვე შესაბამისი ტექნიკური მასალის შესახებ, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებამდე;

5<u>. აღნიშნავს,</u> რომ ობიექტზე არსებული კონსერვაციის გამოწვევების აღმოფხვრა მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და იმეორებს მოწოდებას საერთაშორისო თანამეგობრობის გაზრდილი მობილიზაციისკენ, რათა უზრუნველყოს მეტი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა მონაწილე სახელმწიფოსთვის, მათ შორის, გააძლიეროს ქართველი ექსპერტების შესაძლებლობები, რომელთა გაზრდილი ჩართულობა გელათის გრძელვადიან კონსერვაციაში მნიშვნელოვანია ძეგლის მდგრადი კონსერვაციისა და მართვისთვის;

6<u>. აღნიშნავს</u> საკონსულტაციო ორგანოების მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისთვის განსახილველად დეტალური საექსპერტო მოხსენებების წარდგენის და ყველა ახალი ინტერვენციის დეტალურად დოკუმენტირების აუცილებლობას და შემდგომში სთხოვს სახელმწიფო მხარეს:

ა) მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მიერ განსახილველად წარუდგინოს კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამა, გეგმითა და საგზაო რუკით, ასევე, კონსერვაციის განახლებული გენერალური გეგმა,

ბ) წარუდგინოს დროებითი და მუდმივი გადახურვის ყველა ახალი წინადადების დიზაინი და დეტალი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მიერ განსახილველად,

გ) განაგრძოს თანამშრომლობა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მრჩეველ

ორგანოებთან, პირდაპირ ან ტექნიკური მასალის განსახილველად წარდგენის გზით,

დ) დოკუმენტირების პროგრამის ინიცირება, რომელიც აღრიცხავს ყველა ჩარევის ტექნიკურ და პროცედურულ დეტალებს ძეგლის ქსოვილში;

7. კიდევ ერთხელ მიმართავს თხოვნით სახელმწიფო მხარეს, გადახედოს და განაახლოს ობიექტის მართვის გეგმა და განაგრძოს ძალისხმევა ინდიკატორების შემუშავების მიზნით, იმ მახასიათებლების კონსერვაციის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, რომლებიც ასახავს ძეგლის უნივერსალურ ღირებულებას. შემდგომ კი ითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფომ ზემოაღნიშნული წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მრჩეველი ორგანოების მხრიდან განსახილველად;

8. მოუწოდებს სახელმწიფო მხარეს განაგრძოს მჭიდრო დიალოგი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძეგლზე განხორციელებული დაცვის ღონისძიებების შესახებ, მათ შორის, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს მეშვეობით;

9. დამატებით სთხოვს სახელმწიფო მხარეს, 2024 წლის განმავლობაში მოიწვიოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისია, რათა შეაფასოს მიღებული კონსერვაციის ღონისძიებები, კონსერვაციის ჰოლისტიკური პროგრამის შემუშავება და განხორციელება, კონსერვაციის გენერალური გეგმისა და საგზაო რუკის ჩათვლით, მართვის გეგმის განახლება, მართვის სისტემის და მისი ეფექტურობის გასაუმჯობესებლად გადადგმული ნაბიჯები და ქონების კონსერვაციის საერთო მდგომარეობა;

10. დამატებით სთხოვს სახელმწიფო მხარეს, **2024 წლის 1 დეკემბრამდე** წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განახლებული ანგარიში ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობისა და ზემოაღნიშნულის განხორციელების შესახებ, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ 47-ე სესიაზე განსახილველად.

დანართი III: მისიის შემადგენლობა

- ირენა კაკეტი, პროგრამების სპეციალისტი, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის სექტორი, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი, UNESCO
- ალკივიადეს პრეპისი, ICOMOS-ის მრჩეველი
- მონიკა მარტელლი კასტალდი, ICCROM-ის მრჩეველი

დანართი IV: მისიის მიერ განხორციელებული პროგრამა და დღის წესრიგი

22 სექტემბერი, 2024

ექსპერტების თბილისში ჩამოსვლა

23 სექტემბერი, 2024

10:00-13:00	გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის წევრებთან გაცნობითი შეხვედრა
15:00-16:30	შეხვედა გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარესთან, - საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოსთან (მუჯირი).
17:00-18:00	შეხვედრა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს / საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებთან
18:00-19:00	შეხვედრა ICOMOS საქართველოსთან

24 სექტემბერი, 2024

9:00-12:30	თბილისიდან გელათის მონასტერში გამგზავრება
14:00-16:30	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ადგილზე დათვალიერება, ნაწილი 1 (ერთიანი დროებითი გადახურვა)
17:00-19:00	შეხვედრა ქუთაისში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ჩართულ პირებთან განახლებული მართვის გეგმის საკითხებზე

25 სექტემბერი, 2024

9:30-12:15	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ადგილზე დათვალიერება, ნაწილი 2 (მთავარ ტაძარში მოწყობილი ხარაჩო, არქიტექტურა და მოზაიკა)
12:15-13:00	შეხვედრა (ონლაინ ფორმატში) პროფ. გერჰარდ ვოლფთან, - გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მდივანი, მაქს პლანკის სახელობის ფლორენციის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი
15:00-16:00	შეხვედრა რომის არქეოლოგიური საკონსერვაციო ცენტრის ხელმძღვანელთან, პროფ. რობერტო ნარდისთან: პრეზენტაცია და დისკუსია მოზაიკის საკონსერვაციო მდგომარეობის საკითხებზე (ონლაინ შეხვედრა და დისკუსია)

16:00-18:00	პრეზენტაციები და განხილვა სტრუქტურული კვლევებისა და მონიტორინგის, ასევე, ერთიანი დროებითი დამცავი გადახურვისა და ხარაჩოების შესახებ.
18:00-19:00	ბუფერული ზონის მონახულება, ნაწილი 1 (სოხასტერის მონასტერი, წმ. საბასა და წმ. ნინოს ეკლესიები)

26 სექტემბერი 2024

9:00-10:00	ბუფერული ზონის მონახულება, ნაწილი 2 (მოწამეთას მონასტერი)
10:00-13:00	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ადგილზე დათვალიერება, ნაწილი 3 (მთავარი ტაძრის კედლის მხატვრობა)
15:00-17:00	პრეზენტაციები და განხილვები კედლის მხატვრობის კონსერვაციის მეთოდოლოგიისა და მიდგომების, გამომარილების მიზეზით გამოწვეული დეგრადაციისა და დიაგნოსტიკური პროცესების საკითხებზე - სტივენ რიკერბი, გელათის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროგრამის საერთაშორისო ხელმძღვანელი (ვიდეოჩანაწერი, დისკუსიის გარეშე) - სტეფან ლაუე, პოტსდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კონსერვაციისა და რესტავრაციის მიმართულების პროფესორი (ონლაინ პრეზენტაცია, დისკუსია) - მარიამ საღარაძე (ონლაინ პრეზენტაცია, დისკუსია) და ლელა ნინოშვილი (ადგილზე ერთობლივად დათვალიერება და დისკუსია), ქართული საკონსერვაციო ჯგუფის თანახელმძღვანელები
17:00-18:00	მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვისა და გამოყენების სამომავლო გეგმების შესახებ იდეების გაზიარება
18:00-19:00	წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მონახულება

27 სექტემბერი, 2024

9:00-14:00	თბილისში დაბრუნება
16:00-18:00	მისიის ექსპერტებს შორის შემაჯამებელი შეხვედრა-დისკუსია

28 სექტემბერი, 2024

ექსპერტთა გამგზავრება

დანართი V: შეხვედრებში მონაწილე პირების ნუსხა

<u>საქართველოს საპატრიარქო</u>:

- საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი), გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე
- ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის მიტროპოლიტი, თეოდორე (ჭუაძე) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი; საქართველოს საპატრიარქოს ფინანსურ-ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე
- არქიმანდრიტი კირიონი (ონიანი), გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
- ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი) საქართველოს საპატრიარქოს სიწმინდეთა მოძიებისა და დაცვის განყოფილების თავმჯდომარე
- დეკანოზი ანდრია (ჯაღმაიძე), საქართველოს საპატრიარქოს საგვარეულო სამრევლოების გაერთიანების ხელმძღვანელი

<u>გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი</u>:

- დავით ლორთქიფანიძე, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი
- ეკატერინე გედევანიშვილი, ეროვნული სამეცნიერო საბჭოს წევრი
- გერჰარდ ვოლფი, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს მდივანი, მაქს პლანკის სახელობის ფლორენციის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორი *(ონლაინ ფორმატში)*
- ანეტ ჰოფმანი, ფლორენციის ხელოვნების ინსტიტუტი, საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო(ონლაინ ფორმატში)
- მიხეილ გაფრინდაშვილი, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის წარმომადგენელი
- მანანა ვარძელაშვილი, გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის წარმომადგენელი

<u>საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო / საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო:</u>

- თამარ კეთილაძე, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი
- სალომე ჯამბურია, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის აღსრულების ეროვნული საკონტაქტო პირი

<u>ჩართული ექსპერტები</u>:

- მარიამ საღარაძე, კედლის მხატვრობის ჯგუფის თანახელმძღვანელი *(ონლაინ ფორმატში)*
- ლელა ნინოშვილი, კედლის მხატვრობის ჯგუფის თანახელმძღვანელი
- ვახტანგ ზესაშვილი, არქიტექტორ-რესტავრატორი (ერთიანი დროებითი გადახურვის პროექტი და სტრუქტურული კვლევები)
- რუსუდან მირზიკაშვილი (განახლებული მართვის გეგმა)
- რობერტო ნარდი, მოზაიკის კონსერვაციის პროგრამის ხელმძღვანელი (ონლაინ

ფორმატში)

- სტეფან ლაუე, პოტსდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კონსერვაციისა და რესტავრაციის მიმართულების პროფესორი *(ონლაინ ფორმატში)*
- კრისტიანო რუსსო, „სტუდიო კროჩი“ - (სტრუქტურული კვლევები და მონიტორინგი) (ონლაინ ფორმატში)

<u>თვითმმართველობის წარმომადგენლები</u>:

- ლევან ზაკლანიანი, იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული
- დავით გორდელაძე, იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- მერი დევიძე, იმერეთის DMO (დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია)
- მანანა ქურციკიძე, იმერეთის DMO (დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია)
- დავით ჩერქეზიშვილი, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი
- გიორგი ლომთაძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
- მირზა ქოჩიაშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
- შალვა ჩიქობავა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ტურიზმის სამსახურის უფროსი
- გელა ცქიფურიშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
- ზაზა ებრალიძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი
- მარეხ ხუნდაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი
- ნონა ბედირეიშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სპეციალისტი

<u>ICOMOS საქართველო</u>:

- მანანა თევზაძე, გენერალური მდივანი

დანართი VI: განაცხადი ძეგლის ზოგადსაკაცობრიო გამორჩეული ღირებულების შესახებ

მოკლე სინთესი

ჩრდილოეთ კავკასიონის მთების ქვედა სამხრეთ კალთებზე განლაგებული გელათის სამონასტრო კომპლექსი ასახავს შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანას“ - მეფე დავით IV „აღმაშენებლის“ (1089-1125) და თამარ მეფის (1184- 1213 წწ) მმართველობებს შორის - პოლიტიკური ძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის პერიოდს. სწორედ დავითმა დაიწყო 1106 წელს მონასტრის აშენება თავის დედაქალაქ ქუთაისთან, მდინარე წყალწითელას თავზე მდებარე ტყიან გორაკზე. მთავარი ტაძრის მშენებლობა 1130 წელს, მისი ვაჟისა და მემკვიდრის დემეტრეს მეფობის დროს დასრულდა. მე-13 და მე-14 საუკუნეების დასაწყისში მონასტერს დაემატა დანარჩენი ეკლესიები. მონასტერი უხვად არის შემკული მე-12-მე-17 საუკუნეების კედლის მხატვრობით, ასევე, მე-12 საუკუნის მთავარი ტაძრის აფსიდის მოზაიკით, სადაც გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით ხელში, მთავარანგელოზებს შორის. მისი მაღალი არქიტექტურული ხარისხის, გამორჩეული დეკორის, ზომისა და მკაფიო სივრცითი დაგეგმარების ერთობლიობა საქართველოს „ოქროს ხანის“ არქიტექტურის მხატვრული იდიომის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს, ხოლო მისი თითქმის სრულიად ხელუხლებელი გარემო არქიტექტურისა და ლანდშაფტის ჰარმონიული შერწყმის გაცნობიერების საშუალებას იძლევა.

გელათი არ იყო უბრალოდ მონასტერი: ის ასევე იყო მეცნიერებისა და განათლების ცენტრი და იქ დაარსებული აკადემია უძველესი ხანის საქართველოს კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. დავით მეფემ თავის აკადემიაში შეკრიბა გამოჩენილი ინტელექტუალები, მათ შორის იოანე პეტრიწი, ნეო-პლატონიკოსი ფილოსოფოსი, რომელიც ცნობილია პროკლეს თარგმანებით და არსენ იყალთოელი, სწავლული ბერი, რომლის დოქტრინალური და პოლემიკური თხზულებების თარგმანები დოგმატიკონში, ანუ სწავლებათა წიგნში იქნა შეტანილი, რომელშიც არისტოტელეიზმის გავლენა შეიმჩნევა. გელათში, ასევე, არსებობდა სკრიპტორიუმი, სადაც მონასტრის მწიგნობრები ხელნაწერების გადაწერით იყვნენ დაკავებულები (თუმცა მისი ადგილმდებარეობა უცნობია). იქ შექმნილ რამდენიმე წიგნს შორის ყველაზე ცნობილია მე-12 საუკუნის სახარება, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

როგორც სამეფო მონასტერს, გელათს საკუთრებაში გააჩნდა მიწის ვრცელი ნაკვეთები და მდიდარი იყო ხატებით, მათ შორის ცნობილი ხახულის ღვთისმშობლის ოქროს ხატით (ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში) და თავისი განვითარების მწვერვალზე ასახავდა აღმოსავლური საქრისტიანოს სიძლიერესა და მაღალ კულტურას.

კრიტერიუმი (iv): გელათის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს „ოქროს ხანის“ ხუროთმოძღვრების შედევრია და ის ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, რომელსაც გამოარჩევს გლუვად გათლილი დიდი ქვის კვადრების სუფთა წყობა, ნაგებობათა იდეალური პროპორციები და მონუმენტური თაღოვანი დეკორის სისტემა. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენს ჩაწერილი ჯვრის ტიპის ნაგებობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნიმუშს, რომელმაც VII საუკუნიდან გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ქრისტიანულ საეკლესიო არქიტექტურაში. გელათი ერთ-ერთი უდიდესი შუა საუკუნეების მართლმადიდებლური მონასტერია, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიული დამოკიდებულებითა და საერთო დაგეგმარების კარგად გააზრებული კონცეფციით.

გელათის სამონასტრო კომპლექსის მთავარი ტაძარი შუასაუკუნეების ერთადერთი ძეგლია აღმოსავლეთ მცირე აზიისა და კავკასიის უფრო ფართო ისტორიულ რეგიონში, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად აქვს შემონახული საუკეთესო ბიზანტიურ მოზაიკებთან შესადარი მოზაიკური კომპოზიცია, აგრეთვე, შუა, გვიანი და პოსტ-ბიზანტიური პერიოდის საქართველოს მხატვრობის უდიდესი კოლექცია, მათ შორის მეფეების, დედოფლებისა და მაღალი სასულიერო პირების 40-ზე მეტი პორტრეტი და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ყველაზე ადრეული გამოსახულება.

მთლიანობა

მთელი მონასტერი წარმოადგენს ძეგლს და მოიცავს მე-12 საუკუნის ყველა მთავარ შენობას, აგრეთვე მე-13 საუკუნეში დამატებულ შენობებს. ყველა ატრიბუტი, რომელიც აუცილებელია განსაკუთრებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულების გამოსახატავად ადგილზეა და მის ნაწილს შეადგენს. მე-12 და მე-13 საუკუნეების მონასტრის არც ერთი მნიშვნელოვანი ორიგინალი მახასიათებელი არ დაკარგულა საუკუნეების განმავლობაში და მისი ლანდშაფტი ძირითადად ხელუხლებელი რჩება. ყველა შენობა არ არის კარგ საკონსერვაციო მდგომარეობაში.

არსებობს განვითარების გარკვეული ზეწოლა ბუფერულ ზონასა და მის უფრო ფართო არეალში, მაგრამ საფრთხეების დონე დაბალია და ამჟამად, პროცესები კონტროლს ექვემდებარება.

ავთენტურობა

მთლიანობაში, არქიტექტურული ფორმები, სივრცითი მოწყობა და დეკორი სრულად გადმოსცემს მათ ღირებულებას. დიდი ხნის განმავლობაში კედლის მხატვრობის ძირითადი ნაწილები ცუდ საკონსერვაციო მდგომარეობაში იყო. სახურავების შეკეთებით, დეგრადაციის პროცესი შენელდა და ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები, თუმცა ზოგიერთი მათგანი კვლავაც მოწყვლად მდგომარეობაშია.

აკადემიის შენობა, რომელსაც 1994 წლის ნუსხაში შეტანის მომენტისთვის არ გააჩნდა სახურავი, 2009 წელს გადახურული იქნა შექცევადი მასალით. გაფართოებული ბუფერული ზონა საშუალებას იძლევა სრულად იქნას აღქმული მონასტერსა და მის ბუნებრივ გარემოს შორის ჰარმონიული ურთიერთკავშირი.

დაცვა და მართვის საკითხები

გელათის სამონასტრო კომპლექსი საბჭოთა პერიოდიდან ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მატარებელია და 2006 წელს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეტანილ იქნა საქართველოს ძეგლთა ეროვნულ რეესტრში. 2014 წელს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებულებით, კულტურული დაცვის ტერიტორია გაფართოვდა გელათის მონასტრის მიღმა, მთლიანი ბუფერული ზონის მოსაცველად. ბუფერული ზონა დაცულია როგორც ძეგლების, ასევე, ვიზუალური ატრიბუტების გამო. მიმდებარე ლანდშაფტის ბუნებრივი ფასეულობები რეგულირდება საქართველოს ტყის კოდექსით, ნიადაგის დაცვის, გარემოს დაცვის და წყლის კანონებით, რომლებიც ტერიტორიის ტყეებისა და მდინარეების მართვის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენენ. ბუფერულ ზონაში ახალი მშენებლობის ან რეკონსტრუქციის, მათ შორის, ინფრასტრუქტურული და

მიწის სამუშაოების ჩატარების განაცხადები საჭიროებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, კულტურული მემკვიდრეობის დაცული ზონების სექციისა და ურბანული მემკვიდრეობის სააგენტოს ნებართვას.
საკონსერვაციო სამუშაოები ტარდება კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც მომზადებულია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან თანამშრომლობით. ეს გეგმა მოიცავს ნაგებობების კონსერვაციას, ასევე წინადადებებს 1990-იან წლებში დაწყებული სამონასტრო ცხოვრების აღორძინების მხარდასაჭერად და ვიზიტორთა საჭიროებებს. გრძელვადიანი კონსერვაციის პროგრამებისთვის საჭიროა ადეკვატური რესურსების შენარჩუნება. უნდა შეიქმნას დოკუმენტაციის სისტემა ყველა საკონსერვაციო და აღდგენითი სამუშაოებისთვის და სხვადასხვა სამონასტრო შენობების საერთო სტაბილურობის სამგანზომილებიანი აზომვისა და მონიტორინგისათვის.

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი შეთანხმებულია კომპლექსში შემავალ ყველა კომპონენტთან მიმართებაში. ძეგლის ყოველდღიური მართვა ძეგლის ტერიტორიაზე მცხოვრები სამონასტრო თემის პრეროგატივაა. უფრო გრძელვადიან ინტერვენციებს ახორციელებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. მისი ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოა ქუთაისის ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია ვიზიტორთა სერვისებზე.

2017-2021 წლების მართვის გეგმა ასახავს ეკლესიის და შესაბამისი სამთავრობო უწყებებისა და სათემო ჯგუფების ძალისხმევას, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საკონსულტაციო პროცესში. ის მიზნად ისახავს საკუთრებასთან დაკავშირებით საერთო ხედვის ჩამოყალიბებას. გეგმა შემუშავებულია კონსერვაციის გენერალურ გეგმასთან, იმერეთის ტურიზმის განვითარების სტრატეგიასთან და იმერეთის დაცული ტერიტორიების 2014 წლის მართვის გეგმასთან (რომელიც მოიცავს მდინარე წყალწითელას ხეობასა და კანიონს ბუფერულ ზონაში) თავსებადობის გათვალისწინებით. მისი სრულად ამოქმედება და შესაბამისი ორგანოების მიერ აღსრულება საჭიროებს თავად გეგმის დამტკიცებას. საჭიროა საკუთრების მართვის კომიტეტის შექმნა და ძირითადი როლებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება.

დანართი VII: მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS/ICCROM-ის მიერ 2022 წელს გელათში განხორციელებული ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რჩევები

1. დაუყოვნებელი მოქმედებები ფოკუსირებული უნდა იქნას სტაბილიზაციის გადაუდებელ სამუშაოებზე. შემდგომი კონსერვაციის სამუშაოები უნდა ჩატარდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტრუქტურები, კედლის მხატვრობა და მოზაიკა მთელი ძეგლისთვის განსაზღვრულ საფუძვლიანად შემუშავებულ და მთლიანობაში ჩასატარებელ სახელმძღვანელო საკონსერვაციო პროგრამაში იქნება ჩართული და გამყარებული სისტემატური მონიტორინგით, კვლევით და დოკუმენტაციით. არსებული კონსერვაციის გენერალური გეგმა შესაბამისად უნდა იქნას განახლებული.

2. რეკომენდებულია, რომ სახელმწიფო მხარემ გააგრძელოს ძეგლზე არსებული კონსერვაციის გამოწვევების აღმოფხვრაზე ორიენტირებული პროგრამის განხორციელება ამ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად. წარუდგინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს, მრჩეველთა საბჭოს განსახილველად დოკუმენტაცია შემდგომი გადაუდებელი ჩარევებისა და გრძელვადიანი კონსერვაციის სტრატეგიისა და ღონისძიებების შესახებ, შესაბამისი ტექნიკური მასალის თანხლებით, მათ განხორციელებამდე.

3. ძეგლის მართვის გეგმა უნდა განახლდეს, რათა მისი საშუალებით მოხდეს მიმდინარე საკონსერვაციო ქმედებების მართვა .

4. დაუყონებლივ განხორციელდეს მისიის შენიშვნების გათვალისწინებით ძეგლის (გუმბათის ჩათვლით), მთლიანი დამცავი გადახურვის პროექტი.

5. უზრუნველყოფილ იქნას საფუძვლიანი და დეტალური დოკუმენტაციის მუდმივი წარმოება (როგორც კედლის მხატვრობის მდგომარეობის მონიტორინგისთვის, ასევე ყველა განხორციელებული ჩარევების აღნუსხვისთვის). ეს ინფორმაცია მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოების დროს გამოსაყენებლად და კედლის მხატვრობის უწყვეტი მონიტორინგისთვის, რაც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იქნება საჭირო.

6. უსაფრთხო ხარაჩოების მოწყობა ეკლესიის ყველა მკლავში, კედლის მხატვრობის ყველა ზედა ნაწილის, ასევე, აფსიდის მოზაიკის შეფასებისა და მონიტორინგისთვის.

7. წმინდა გიორგის ეკლესიის მხატვრობის მდგომარეობის შეფასება და მონიტორინგი უნდა გავრცელდეს ისეთ უბნებზეც, სადაც სახურავის შეცვლის შედეგად შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ინფილტრაციას.

8. შეიმუშავეთ მკაფიო ვალდებულებების და განსახორციელებელი პროცესების პროექტი და საგზაო რუკა. კამარების (და შესაძლოა გუმბათის) ზედა ნაწილების მხატვრობის გადაუდებელი ჩარევების დეტალური ქმედებები მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, ორიგინალთან თავსებადი მასალების გამოყენებით. შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს წყლის დამატება. საგზაო რუკა ასევე, უნდა შეიცავდეს მხატვრობის მდგომარეობის, ტაძრის შიგნით არსებული პირობების და კედლების შიგნით წყლის დონის აუცილებელ მონიტორინგს. ასევე, უნდა შემუშავდეს ადგილზე არსებული მხატვრობის

გრძელვადიანი კონსერვაციის გეგმა, მათ შორის, უფრო ფართო საკონსერვაციო ჩარევებისთვის, რომელსაც შესაძლებელია დროთა განმავლობაში გადახედვა დასჭირდეს. ეს გეგმა ნაგებობისა და კედლის მხატვრობის შრობისა და სტაბილიზაციის პროცესზეა დამოკიდებული.

9. მოვუწოდებთ სახელმწიფოს მხარეს უფრო მჭიდრო დიალოგი იქონიონ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ძეგლზე გატარებული დაცვის ზომების საკითხებზე, მათ შორის, მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გავლით.

10. გელათში გასატარებელი გრძელვადიანი კონსერვაციისა და მონიტორინგის ქმედებებიდან გამომდინარე, კატეგორიულად რეკომენდებულია პროცესში უფრო მეტი ქართველი კონსერვაციის სპეციალისტის ჩართვა (და საჭიროების შემთხვევაში პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერების დაგეგმვა) ქმედებების გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

11. კედლის მხატვრობის და მოზაიკის გადაუდებელი და საშუალოვადიანი შენარჩუნების დეტალური პროექტის შემუშავებამდე, აუცილებელია არსებული კონსერვაციის მდგომარეობისა და ეკლესიის მთლიანი ინტერიერის მოხატულობის დაზიანებების დეტალური სქემის შექმნა.

12. საჭიროა შენობის განივ მკლავებში თლილი ქვების გრძელვადიანი მიკრომოძრაობების საფუძვლიანი და ზუსტი კვლევის ჩატარება 3D მოწყობილობების დახმარებით, საჭიროების შემთხვევაში, დასავლეთ მკლავზე განსაკუთრებული აქცენტის გაკეთებით.

13. რეკომენდებულია მთლიანი სტრუქტურული გამოკვლევის ჩატარება და ძეგლის სტატიკური ადეკვატურობის აღსადგენად, ჩარევის პროექტის მომზადება, აქცენტით მისი სტრუქტურის ზედა ნაწილებზე. მიზანშეწონილია, პროექტის მომზადებაში ჩაერთოს საქართველოს კვლევითი ინსტიტუტები და საუნივერსიტეტო ლაბორატორიები.

14. არ უნდა ჩატარდეს დასავლეთ მკლავის ბზარების საბოლოო გამაგრების სამუშაოები, სანამ არ დადგინდება, ზემოაღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, საბოლოო გამოკვლევების და აუცილებელი ზომების ჩამონათვალი.

15. განხორციელდეს შეერთების ადგილების საფუძვლიანი შევსება და დაკარგული მონაკვეთების გამთლიანება ეკლესიის ფასადების სტრუქტურულ ქვებზე. მიზანშეწონილია, შესაკეთებლად გამოიყენოთ ბუნებრივი ჰიდრავლიკური კირის ხსნარი, რომელიც აკმაყოფილებს თავსებადობის მოთხოვნებს (უზრუნველყოფს სუნთქვას და აარიდებს თავდაპირველ სამშენებლო ქვებზე მარილის ხსნარების ზემოქმედებას) და, მდგრადობის უზრუნველაყოფად, ბათქაშის მექანიკური მუშაობის აღდგენის საკითხს (სიმტკიცე და ფორიანობა).

16. რეკომენდებულია დამატებითი დროებითი ორმაგი ხის კარების (ქარის ბარიერების) დაყენება ნაოსის სამ შესასვლელთან, ასევე, ზოგიერთი ღია ფანჯრის დახურვა ქარის მიერ გამოწვეული ტენიანობის შესამცირებლად, მონიტორინგის პროცესის შედეგებიდან გამომდინარე.

17. მისია მოუწოდებს ეროვნულ სააგენტოს და ჩართულ ადგილობრივ პროფესიონალებს, გააგრძელონ 2020 წლის დეკემბერში დაწყებული

მონიტორინგის პროექტი, ალესანდრო მასარის მიერ ჩატარებული „სტრუქტურული ჰიგრომეტრული და მიკრო-გარემოს მდგომარეობის კვლევა“ ის (2021-2022) რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც მოიცავენ მონიტორინგის ხანგრძლივობას, ჰაერის პარამეტრების საზომი სენსორების რაოდენობასა და ადგილმდებარეობებს, მონასტრის ტერიტორიაზე ქარის მიმართულების და ინტენსივობის საზომ სენსორს, მონაცემთა აღების ინტერვალებს და მათი ჩაწერის პირობებს (კარების მდგომარეობიდან, ვიზიტორების არსებობიდან, სარემონტო სამუშაოებიდან, სპეციალურად გაღების საჭიროებიდან, და აშ. გამომდინარე).

18. ადგილზე მომუშავე ყველა გუნდს შორის კარგი კოორდინაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა, იმისთვის რომ ძეგლი ერთიან სისტემად იქნას განხილული და გადაწყვეტილების მიღება ერთობლივად ხდებოდეს.

19. საჭიროა ტერიტორიაზე წყლის ნაკადების საკითხის მოგვარება და ქვებზე და მხატვრობაზე კაპილარული შთანთქმის ზემოქმედების შესწავლა (კედლების ქვედა ნაწილები).

20. წმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით, აუცილებელია ქვის ბლოკებს შორის არსებული ნაკერების დამუშავება, რათა არ მოხდეს წყლის შეღწევა ფასადიდან, საკონსერვაციო ხსნარის თავსებადობასა და მდგრადობასთან დაკავშირებული მე-15 რეკომენდაციის გათვალისწინებით.

21. ახალი სახურავის პროექტთან დაკავშირებით, 2022 წლის 28 სექტემბერს, ReStruere-სთან დისტანციური შეხვედრის დროს სახელმწიფო მხარეს მიერ არჩეული „საპროექტო კრიტერიუმების, რომლებიც სახელმძღვანელო სცენარს განსაზღვრავენ“ ვარიანტები გამართლებულია, შემდეგი დამატებითი წინადადებების გათვალისწინებით:

   - გაძლიერებული ზომების მიღება ახალი მუდმივი სახურავის კონსტრუქციის გამძლეობის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივად ზამთრის მკაცრი კლიმატური პირობების გათვალისწინებით [შესაბამისი ზომები მოცემულია შესატყვის ევროკოდებში];
   - გადახურვის საბოლოო ფენისთვის სასურველია გამოყენებულ იქნას პროფილირებული სპილენძი, მსგავსი იმ ფორმისა, რომელიც აქვს გელათის მონასტერში აკადემიის შენობის შესასვლელს.

Annex VIII: სახელმწიფო მხარისგან მიღებული დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

მისიის განხორციელებამდე მიღებული დოკუმენტები

- გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლზე (საქართველო), 2022 წლის 28 ნოემბრიდან - 2 დეკემბრამდე, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ ICOMOS/ICCROM-ის მიერ განხორციელებული ერთობლივი საკონსულტაციო მისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული გამოსასწორებელი ღონისძიებები.
- გელათის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის ინტეგრირებული საკონსერვაციო გეგმა, 2023 წლის აპრილი - 2027წ.
- მართვის გეგმის პროექტი:
    - გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის მიერ შემუშავებული გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმა, 2024, ინგლისურენოვანი ვერსია.
    - გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისთვის შემუშავებული ინტეგრირებული საგზაო რუკა, 2024-2028წწ., ინგლისურენოვანი ვერსია.
    - გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლისთვის შემუშავებული კონსერვაციის სამოქმედო გეგმა და გრაფიკი 2023-2027 წწ.
    - ლანდშაფტის ვიზუალური პანორამული ანალიზი. ქართულენოვანი დოკუმენტი.
    - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის ანგარიში, ქართულენოვანი დოკუმენტი.
- ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ერთიანი დროებითი გადახურვის პროექტი.
- კედლის მხატვრობის კონსერვაციის დოკუმენტაცია:
    - რიკერბი და შეკედეს საზოგადოების მიერ შემუშავებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო გეგმა.
    - ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის ტაძრების კედლის მხატვრობის კონსერვაციის გეგმა, 2023-2027.
    - ღვთისმშობლის შობისა და წმ. გიორგის ტაძრების კედლის მხატვრობის კონსერვაციის გეგმა-გრაფიკი, 2023-2027.
    - გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროგრამა, 2023 წლის აპრილიდან 2024 წლის აგვისტომდე განხორციელებული ქმედებების შეჯამება.
    - „გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კედლის მხატვრობის მდგომარეობის გამოსასწორებელი ჩარევები, ფაზა 1, გრძელვადიანი საკონსერვაციო სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა: გელათის დროებითი რეაბილიტაციის კომიტეტის მიერ 2024 წლის მარტსა და აპრილში განხორციელებული კრიტიკული ადგილების სტაბილიზაციის სამუშაოები.
    - „გელათის მონასტრის“ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის კედლის მხატვრობის მდგომარეობის გამოსასწორებელი ჩარევები, ფაზა 2, გრძელვადიანი საკონსერვაციო სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის

განსაზღვრა: გელათის დროებითი რეაბილიტაციის კომიტეტის მიერ 2024 წლის ივლისსა და აგვისტოში განხორციელებული კრიტიკული ადგილების სტაბილიზაციის სამუშაოები.

- დოკუმენტაცია მოზაიკის კონსერვაციის მიმართულებით:
    - რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრის ხელმძღვანელის რობერტო ნარდის მიერ მომზადებული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოზაიკის მდგომარეობის ზოგადი შეფასება.
    - რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრის ხელმძღვანელის რობერტო ნარდის მიერ მომზადებული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოზაიკა, საკონსერვაციო პროგრამა, I ფაზა: დოკუმენტაცია, დიაგნოსტიკა, კვლევა და კონსერვაციის სამოქმედო გეგმა.
    - რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრის ხელმძღვანელის რობერტო ნარდის მიერ მომზადებული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოზაიკა, საკონსერვაციო პროგრამა, I ფაზა: დოკუმენტაცია, დიაგნოსტიკა, კვლევა და კონსერვაციის სამოქმედო გეგმა, 2024 წლის ივლისის შუალედური ანგარიში.
- *VI სტუდიოსა და Croci & Associati სტუდიოს მიერ მომზადებული* ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის სტრუქტურული კვლევები და მონიტორინგი:
    - ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კონსტრუქციული კვლევებისა და მონიტორინგის გეგმა
    - ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კონსტრუქციის, კვლევისა და მონიტორინგის გეგმა
    - ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კონსტრუქციული მონიტორინგის სისტემა, პერიოდული ანგარიში და კვლევები
- Gaia Prospection and Ludwig-ის მიერ მომზადებული გელათის მონასტრის ტერიტორიის გეოფიზიკური კვლევების ანგარიში, 2024 წლის მაისი.
- კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიმართულებით, 2024 წლის 3-6 ოქტომბერს დაგეგმილი მე-3 საერთაშორისო ვორქშოფის პროგრამა
- საინჟინრო-არქიტექტურული კომპანია “MN - Project”-ის მიერ მომზადებული გელათის მონასტრის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის განახლებული არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები.
- გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის მიერ 2024 წლის თებერვალში განახლებული ინფორმაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ:
    - გელათის მონასტერი, 2023 – 2027 წწ-ის საკონსერვაციო სამოქმედო გეგმა და ყველა ღონისძიების გეგმა-გრაფიკი
    - რიკერბი და შეკედეს მიერ მომზადებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო გეგმა
    - რიკერბი და შეკედეს ხელმძღვანელობით, 2023 წლის აპრილიდან 2024 წლის თებერვლამდე განხორციელებული კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ღონისძიებების შეჯამება
    - ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ღონისძიებების სამოქმედო გეგმა (2023 - 2027)
    - ღვთისმშობლის შობისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების

კედლის მხატვრობის საკონსერვაციო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკი (2023 - 2027)

- VI სტუდიო და Croci & Associati სტუდიოს მიერ შემუშავებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის სტრუქტურული კვლევების გეგმა
- რომის არქეოლოგიური კონსერვაციის ცენტრის ხელმძღვანელის რობერტო ნარდის მიერ მიერ მომზადებული მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოზაიკა, საკონსერვაციო პროგრამა, I ფაზა: დოკუმენტაცია, დიაგნოსტიკა, კვლევა და კონსერვაციის აღმასრულებელი გეგმა.

მისიის შემდგომ მიღებული დოკუმენტაცია

- გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტის მიერ PowerPoin ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის საკონსერვაციო მდგომარეობის გამოსწორების მიზნით განხორციელებული ქმედებების შესახებ (2023-2024)
- რუსუდან მირზიკაშვილის (გელათის რეაბილიტაციის დროებითი კომიტეტი) მიერ PowerPoint ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მართვის გეგმის თაობაზე.
- ვატო ზესაშვილის მიერ PowerPoint ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის მონასტრის [მთავარი ტაძრის] დროებითი გადახურვის თაობაზე
- სტივენ რიკერბისა და ლიზა შეკედეს მიერ PowerPoint ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის კედლის მხატვრობის საკონსერვაციო პროგრამის თაობაზე: გაცნობა, მიმოხილვა.
- სტეფან ლაუეს მიერ მომზადებული ვიდეო პრეზენტაცია - ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გამომარილების პროცესების საკითხებზე, არსებული ცოდნა და ხედვა.
- ლელა ნინოშვილისა და მარიამ საღარაძის მიერ PowerPoint ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის კედლის მხატვრობის პროგრამის თაობაზე: საკონსერვაციო მეთოდების შემუშავების მიზნით, მდგომარეობის სიღრმისეული გაანალიზება დიაგნოსტიკური პროცესის გზით.
- რობერტო ნარდის მიერ PowerPoint ფორმატში მომზადებული პრეზენტაცია - გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის მოზაიკის საკონსერვაციო პროექტის შესრულების თაობაზე (2024 წლის თებერვალი – 2025 წლის აპრილი).
- PowerPoint ფორმატში მომზადებული დამატებითი მასალა გელათის მონასტრის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის არეალში კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის თაობაზე
- გელათის მონასტერში, საბოლოო გადახურვის მასალასთან დაკავშირებული დამატებითი მასალა
- შეხვედრებში მონაწილეთა საბოლოო ნუსხა
- მთავარი ტაძარზე არსებული მეხამრიდის ფოტო